საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 2 ლარი

№161-162 (10164-10165) 2026 წლის 16 ნოემბერი, ორშაბათი

ჟურნალისტური გამოძიება



იხ. 4-5 გვ.

„მეგრული ფაქტორის“ გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ

ხელისუფლებავ, ყურადღებით მოუსმინეთ გიორგი ბარამიძეს!!!

SOS!

დემოგრაფიული კრიზისის პირობებში მთავრობამ „სწორი პროგრამის“ შემუშავება ჯერჯერობით ვერ შეძლო


იხ. 3 გვ.

ეს კრიზისი კი არა, უკვე ეროვნული კატასტროფაა!


იხ. 7 გვ.

ოპოზიციური ერთობის დილემა და საკონსტიტუციო არჩევნების რისკები

ბებერი ევროპის ახალი გასაჭირი


იხ. 14 გვ.

135 წლის წინათ, სოფელ ჭყვიშში, დაიბადა გენიალური გალაკტიონი გილოცავთ!



გალაკტიონ ტაბიძე

...ახლა კი ჩემთვის
ნათელია,
თუ ივერიის
მცირეზე მცირე
რიცხვობრივად,
პატარა ერი,
მარად, ყოველმხრივ
შემორტყმული,
უამრავ მტერით
მაინც გადარჩა,
და გადარჩა,
ის, როგორც ერი
აქ პოეზია იყო მისი
შემჭიდროება,
ანკარა წყარო, მომჩქეფარე
იმ ხალხის გულით,
მის სასიცოცხლო ძალთა-ძალა
და საზრდოება.
აი, ლირიკა,
მთელი მისი დიდი წარსულით,
აი, რად უყვართ
საქართველო
მსოფლიო ქნარებს,
რად უწოდებენ
საქართველოს
მგოსანთა მხარეს!

(ნაწყვეტი ლექსიდან საუბარი ლირიკის შესახებ)

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRES.GE

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

დამოუკიდებლობის უპირატესობა!



შალვა პაპუაშვილი:

დამოუკიდებლობის მნიშვნელობა მხოლოდ იმაში არ არის, რომ რუკაზე ცალკე სახელით ვართ მონიშნული, მისი მთავარი ღირებულებაა, გარე ჩარევის გარეშე რომ შეგვიძლია, ვაწარმოოთ ხალხისთვის კონკრეტული სარგებლის მომტანი პოლიტიკა

საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპით არა უბრალოდ ასწრებს ევროპავშირის ყველა წევრ და კანდიდატ ქვეყანას, არამედ ასწრებს რამდენიერმე, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა. იგი სოციალურ ქსელში 2026 წლის მშპ-ის ზრდის პროგნოზს აქვეყნებს.

„მარტო ეს მონაცემიც საკმარისია იმის დასანახად, რამდენად მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის ბრიუსელის მითითებებზე დაქვემდებარებას. ევროკავშირში დღეს ეს მევრისთვის ცხადია – ენერგომატარებლების მაღალი ფასები, საწარმოების საზღვარგარეთ გადინება, უმეტეს ქვეყნებში უმუშევრობის ზრდა და მევრი სხვა პრობლემა. მოლდოვის მაგალითი ამ განსხვავებას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აჩვენებს.

მოლდოვამ, რომელსაც 2021 წელს 13,9%-იანი ზრდა ჰქონდა, მას შემდეგ, რაც ეკონომიკური პოლიტიკა ბრიუსელის მოთხოვნებს დაუქვემდებარა, 2022 წელს ჯერ 4,6%-იანი ეკონომიკური ვარდნა განიცადა (მაშინ როცა იმავე წელს ჩვენ 11%-იანი ზრდა გვქონდა), 2023 წლიდან კი 1%-იანი ზრდის ფარგლებს ვერ გასცდა. ევროკავშირიდან დაპირებული მილიარდების ფონზეც კი, წელს მოლდოვის ეკონომიკა მხოლოდ 1,5%-ით გაიზრდება, რაც საქართველოს 7,2%-იან ზრდასთან შედარებით 5-ჯერ ნაკლებია. ეს სხვაობა მხოლოდ სტატისტიკა არ არის, მას კონკრეტული ფასი აქვს.

2026 წელს საქართველოს ეკონომიკა 7,2%-ის ნაცვლად, მოლდოვის მსგავსად, 1,5%-ით რომ გაზრდილიყო, საქართველოს 2027 წლის მიუჯეტს, მინიმუმ, 1 მილიარდი ლარი დააკლდებოდა. ცნობისთვის, 2027 წლის მიუჯეტში პენსიების, ჯანდაცვისა და განათლების დაფინანსებას სწორედ 1 მილიარდი ლარით ვზრდით. ცხადია, რომ დამოუკიდებელი, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე ამ დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზება გაცილებით რთული იქნებოდა. ისიც ცხადია, რომ ბრიუსელი ამ დანაკლისს არ აანაზღაურებდა – არც პენსიების ზრდას დააფინანსებდა და არც ჯანდაცვის და განათლების ხარჯებს დაფარავდა.

და, ერთიც. რამდენიმე დღის წინ მოლდოვის პრეზიდენტმა სიამაყით განაცხადა, რომ მოლდოვამ სრულად შეწყვიტა რუსეთიდან გაზის იმპორტი და ახლა გაზს ევროკავშირისგან ყიდულობს. ეს ყველაფერი კარგი, თუმცა აქ ერთი დეტალია – 2021 წელს, უკრაინაში ომის დაწყებამდე, მოლდოვაში 1მ³ გაზის ფასი მომხმარებლისთვის 0,65 ლარი იყო, წელს კი 3,75 ლარს მიაღწია. სხვათა შორის, საქართველოში 2021 წელსაც და დღესაც 1მ³ გაზის ფასი 0,56 ლარია, მოლდოვაზე 7-ჯერ იაფი.

დამოუკიდებლობის მნიშვნელობა მხოლოდ იმაში არ არის, რომ რუკაზე ცალკე სახელით ვართ მონიშნული. მისი მთავარი ღირებულება ისაა, რომ შეგვიძლია, გარე ჩარევის გარეშე და ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობით ვაწარმოოთ პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ხალხისთვის კონკრეტული სარგებელი მოაქვს. ეს არის დამოუკიდებლობის უპირატესობა და ის არასდროს უნდა დავთმოთ“!..

პატრიარქმა გუშინ ქადაგებისას ანგარებიან შიშზე ისაუბრა და მრევლს ამ შიშისგან გათავისუფლება ურჩია. შიო მესამემ სადღესასწაულო ლიტურგია სამების საკათედრო ტაძარში აღავლინა.

გუშინვე სამების ტაძარში, საყოველთაო ნათლობის 75-ე ეტაპი გაიმართება. პატრიარქის ნათლული, ჯვარდაწერილი მშობლების მესამე და მომდევნო შვილები გახდნენ.



შიო მესამე:

ვეცადოთ, ყველანაირად შევასრულოთ ღვთის ნება!

„წაკითხული იყო სახარებიდან ეპიზოდი უფალი იესო ქრისტეს მიერ ეშმაკეულის განკურნებაზე. გოროტი სულები მიხვდნენ რა რომ დადგა დასასრული ამ საწყალ კაცზე ბატონობის, სთხოვეს უფალს, ნება მიეცა ღორების კოლტში შესულიყვნენ. ეს ღორების კოლტი გადაეშვა კლდიდან წყალში და დაიღუპა. როცა მიიღო ეს ძალაუფლება, სხვა ვერაფერი მოიფიქრა გარდა იმისა, რომ ეს საწყალი პირუტყვი დაეღუპა. მით უმეტეს, სძულს ადამიანი და რომ ჰქონდეს შესაძლებლობა, ზუსტად ასე მოექცეოდა.

ქალაქის მცხოვრებლებმა ეს რომ გაიგეს, უფალთან შესახვედრად გამოვიდნენ და სთხოვეს, რომ შორს წასულიყო მათი ქალაქიდან. ფიქრობდნენ, ისედაც რამდენი ზარალი ვნახეთ ღორების კოლტის დაღუპვით, როცა შემოვა, რაღას იზამსო. ეს არის ანგარებიანი შიშის მაგალითი. ასეთი რამ ხდება, როდესაც ადამიანს ეშინია თავის სულში შემოუშვას ღმერთი. როდესაც ადამიანი ასე დაჟინებით მოითხოვს, რომ მისი შინაგანი სულიერი სამყარო არაფერმა შეაწუხოს, მაშინ ძალიან ემსგავსება გადარინელებს, რომლებმაც უფალს სთხოვეს მათ ქალაქს მოშორებოდა. ვეცადოთ, ყველანაირად შევასრულოთ ღვთის ნება, ჩვენი ცხოვრებით, ჩვენი საქმით ვადიდოთ ღმერთის ყოვლადწმინდა სახელი“, – განაცხადა **შიო მესამემ.**

გირჩის ნაბოლვარი უკომენტაროდ!!!

მე გამოვდივარ ე.წ. ბარიგების დამცველად და ვიძახი, რომ ისინი ციხეში არ უნდა ისხდნენ...



ზურაბ გირჩი პაფარიძის განცხადებით, ნარკოტიკების გამყიდველი ციხეში არ უნდა იჯდეს, – ამის შესახებ მან YOUTUBE-გადაცემა „სიტყვის ფასში“ **რუსუდან პაგანიშვილთან** ინტერვიუში განაცხადა.

„მე არ მჯერა, რომ ნარკოტიკის გამყიდველი უნდა იჯდეს ციხეში იმიტომ, რომ არ მგონია, რომ ის დამნაშავეა. მე არ მგონია, ერთი ზრდასრული ადამიანი, მეორე ზრდასრულ ადამიანს რაღაცა ნივთიერებას აძლევს და მეორე ზრდასრული ადამიანი თავისი ნებით იმას ამაში ფულს უხდის, რომ თვითონ სიამოვნება მიიღოს, ჩემი აზრით სახელმწიფოს საქმე საერთოდ არ არის ეს“, – აღნიშნავს **პაფარიძე.**

პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ორივე ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში და არ ფიქრობს, რომ სახელმწიფო ამაში უნდა ჩაერიოს. „**ჩემი დამოკიდებულება არის ის, რომ ერთიც თავისუფალია, მეორეც თავისუფალია და კისერი უტეხია ერთსაც და მეორესაც. პირობითად ვიძახი, უხეში ფორმაა რასაც ვიძახი, მაგრამ მაინც. არ მგონია, რომ მანდ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და ვიღაც ციხეში უნდა გამოკეტოს მევრი წლით, რომელსაც მერე ჩვენ გადასახადები უნდა ვუხადოთ, რომ იმას კიდევ ვაჭამოთ, ვასვათ და ციხეში შევინახოთ. სიგიჟე მგონია ეს. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი სოციალური ჯგუფი არიან ეგრეთ წოდებული ბარიგები. და მე გამოვდივარ იმათ დამცველად, ვიძახი, რომ ისინი ციხეში არ უნდა ისხდნენ და მე ამას არ შევიცვლი არასოდეს!..**

ჯარში – მხოლოდ 11 თვით!

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში 11 თვის ვადით ნებაყოფლობით დარეგისტრირებულმა წვევამდელებმა სამხედრო ფიცი დადეს


თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მათ სამხედრო ფიცის მიღება თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობისა და მე-3 ქვეითი ბრიგადის ხელმძღვანელებმა მიულოცეს და წარმატებული სამხედრო სამსახური უსურვეს. ცერემონიალი მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე გატალიონის დისლოკაციის ადგილზე გაიმართა, სადაც შეიარაღებისა და ტექნიკის გამოფენაც მოეწყო. ღონისძიებას წვევამდელთა მშობლები და ახლობლები დაესწრნენ.

დღეიდან წვევამდელების ნაწილი სწავლას გორში, დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსზე გააგრძელებს, ნაწილი კი კოჯორში, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიაში – ათეულისა და ოცეულის სერჟანტის საკარიერო კურსს გაივლის. სასწავლო პროგრამების დასრულების შემდეგ წვევამდელები 31-ე ქვეით გატალიონში უმცროს სამეთაურო თანამდებობებზე დაბრუნდებიან და 6 თვის ვადით გაწვეულ წვევამდელებთან ერთად ოცეულის მეთაურის თანაშემწის, ოცეულის სერჟანტის თანაშემწის, ათეულის მეთაურისა და საშტაბო პოზიციებზე გააგრძელებენ სამსახურს. **11-თვიანი სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ წვევამდელებს ოფიცრის (ლეიტენანტის), სერჟანტის ან უმცროსი სერჟანტის წოდება მიენიჭებათ. სამხედრო სამსახურის პერიოდში ისინი უმცროს სამეთაურო თანამდებობებზე იმსახურებენ, ხოლო ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შემთხვევის გამო, ანაზღაურებაზე 30%-იან დანამატს მიიღებენ.**



SOS! საქართველოს რესპუბლიკა

ეს კრიზისი კი არა, უკვე ეროვნული კატასტროფაა!



დემოგრაფიული კრიზისის პირობებში მთავრობამ „სწორი პროგრამის“ შემუშავება ჯერჯერობით ვერ შეძლო

ქვეყანაში დემოგრაფიული კრიზისია. პარალელურად, უცხო ქვეყნის მოქალაქეების წილი მზარდია. მთავრობა კი „სწორი პროგრამის“ შემუშავების პროცესშია და ჯერ სასურველ მეთოდს ვერ მიაგნო.

2015-2025 წლებში, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 5.6%-ით (208.5 ათასი კაცი), 3 721 900-დან 3 930 400-მდე გაიზარდა. ამ ციფრების უკან კონკრეტული ტენდენცია იმალება. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის ზრდა მხოლოდ და მხოლოდ მიგრანტების ხარჯზე გაიზარდა, რასაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც ადასტურებს. უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობის ასეთი სწრაფი ზრდა ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის საშურაღლებოა.

„ქვეყნის დონეზე 2015-2021 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა შედარებით ზომიერი ტემპით იზრდებოდა და აღნიშნულ პერიოდში ზრდამ 63.5 ათასი კაცი (1.7%) შეადგინა. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წინა წელთან შედარებით, მოსახლეობის რიცხოვნობა 25.0 ათასი კაცით შემცირდა. შემდგომ პერიოდში ტენდენცია მკვეთრად შეიცვალა: 2022-2025 წლებში მოსახლეობა 169.9 ათასი კაცით (4.5%) გაიზარდა“, – აღნიშნულია **„საქსტატის“** მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„საქსტატის“ ცნობით, 2015-2025 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა ძირითადად რამდენიმე რეგიონში – თბილისში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქვემო ქართლში გაიზარდა. დანარჩენ რეგიონებში მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა, ხოლო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, პრაქტიკულად, უცვლელი დარჩა.

პრობლემის სიმწვავეზე დიდი ხანია საუბრობენ სპეციალისტები. სოციოლოგ **მარინა დონაძის** ინფორმაციით, ბოლო წლების განმავლობაში გარდაცვალების სტატისტიკა დაბადების სტატისტიკას აჭარბებს, უცხოეთში კი სულ უფრო მეტი ახალგაზრდა მიდის.

„დღეს ჩვენში არსებული ე.წ. შემწეობებით სრულიად წარმოუდგენელია დემოგრაფიის გაუმჯობესება. ბოლო ათეულ წლებში, ჩვენ თვალწინ მოხდა საზოგადოების ტრანსფორმაცია. ეს გულისხმობს იმ გლობალური ღირებულებების მიღებას, რაც დემოგრაფიის შესახებ მსოფლიოს დიდ ნაწილშია. მაგალითად, მარტოობის ნორმალიზაციას, უპირველესად, კარიერისა და განათლებისაკენ სწრაფვას და ა.შ. ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენც გლობალური სამყაროს ნაწილი ვართ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იდენტობა დავკარგოთ და დემოგრაფიულად გავნადგურდეთ. სახელმწიფო ადეკვატურად რომ ითვალისწინებდეს დემოგრაფიულ საფრთხეს, დასაოჯახებელთა სტატისტიკის ასეთი მკვეთრი ზრდა არ იქნებოდა. უმცირესად დასახლებულ ადგილებშიც კი სრულასაკოვანი დასაოჯახებლები ძალიან დიდ ნაწილს შეადგენენ, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც უფროსი ასაკის დაუოჯახებელი მამაკაცების ყველაზე დიდი პროცენტული წილი, დაახლოებით, 28.5%-მდეა.

მხედველობაში მყავს 40-დან 50-მდე წლის პირები, რომლებიც არასოდეს ყოფილან დაქორწინებული. ქალაქებშიც იგივე სურათია. რაც შეეხება ქორწინების ასაკის გადაწევას, ამ მხრივაც „დიდი ნახტომი“ გვაქვს: ბოლო სტატისტიკით, ქალებში ქორწინების საშუალო ასაკია 30.1, ხოლო მამაკაცებში – 32.4 წელი. ჯერ კიდევ 10 წლის წინ საშუალო ასაკი ქალებში 26.5 წელი იყო, ხოლო მამაკაცებში – 29.5 წელი. ჩვენ უკეთესის იმედად უნდა ვიყოთ და არა უარესის. თუმცა უნდა გვესმოდეს, რამხელა დემოგრაფიული, ეროვნული საფრთხის წინაშე ვდგავართ, რის გაცნობიერებაშიც ყველა თაობას თავისი როლი ეკისრება“, – განუცხადა „კვირის პალიტრას“ **მარინა დონაძემ.**

საკითხი კიდევ ერთხელ წამოიჭრა პარლამენტში. დემოგრაფიულ პრობლემებთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრს, **ლაშა ხუციშვილს** კითხვით რამდენიმე დეპუტატმა მიმართა. პარტია „გახარია საქართველოსთვის“ დეპუტატი **ქეთევან გაპარაძე** დაინტერესდა, 2027 წლის ბიუჯეტში დემოგრაფიული მხარდაჭერისთვის, კონკრეტულად რა პროგრამებია გათვალისწინებული და არის თუ არა გათვალისწინებული უშვილო წყვილებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის მხარდაჭერის კომპონენტი.

„ჩემი კითხვა ეხება ჩვენს ქვეყანაში უკვე დამდგარ დემოგრაფიულ კატასტროფას. ბოლო 34 წლის მანძილზე უპრეცედენტოდ დაბალი შობადობაა, სიკვდილიანობის მაღალი ციფრი, ახალგაზრდებს ქვეყნიდან გადინება. ეს უკვე კრიზისი კი არა, კატასტროფაა. გასაგებია, რომ ეს არის ჩავარდნილი სოციალური პოლიტიკა და მისი შეკავების ინსტრუმენტები ხელისუფლებას არ გააჩნია, მაგრამ მაინტერესებს, 2027 წლის ბიუჯეტში კონკრეტულად რა პროგრამებია გათვალისწინებული დემოგრაფიული მხარდაჭერისთვის? მაგალითად, არა მხოლოდ სოციალური მიმართულების, არამედ ჯანდაცვის პოლიტიკის თვალსაზრისით, არის თუ არა გათვალისწინებული უშვილო წყვილებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის მხარდაჭერის კომპონენტი? თქვენ თქვენს პროპაგანდაში ძალიან ხშირად საუბრობთ, რომ დემოგრაფია არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება და მიმაგრებული ფული ამ მიმართულებით, ასევე, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ეს ნიშნავს, რომ ეს ერთ-ერთი პრიორიტეტი ბიუჯეტში კონკრეტულად სად აისახება ეს პრიორიტეტი?“, – მიმართა **გაპარაძემ ხუციშვილს.**



საქართველოს ფინანსთა მინისტრმა პასუხად თქვა, რომ მთავრობა ცდილობს ჩამოაყალიბოს ყველაზე ეფექტური მექანიზმები, რაც დემოგრაფიის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. სწორი პროგრამების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია და ფინანსთა სამინისტრო მზადაა ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტთან მუშაობა გააგრძელოს.

„ეს არის ერთ-ერთი გლობალური გამოწვევა. იცით, რომ ამ მიმართულებით საპარლამენტო კომიტეტიც მუშაობს, საქართველოს მთავრობაც. ვცდილობთ, ჩამოვაყალიბოთ ყველაზე ეფექტიანი მექანიზმები, რაც იქნება ხელშემწყობი იმ გაცხადებული პოლიტიკისა, რომელიც არის საქართველოში დემოგრაფიის გაუმჯობესება. შემიძლია მევრი მაგალითი გითხრათ იმისა, როგორ წარუმატებელი აღმოჩნდა ესა თუ ის პროგრამები, რომელიც ამ მიმართულებით შეიმუშავეს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში – განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სწორი პროგრამების ჩამოყალიბება განხორციელდეს, რათა იმ დანახარჯებით, რაც იქნება გაწეული, მაქსიმალურად იქნას შესაბამისი შედეგი მიღწეული. ამ მიმართულებით, მზად ვართ, რომ გავაგრძელოთ მუშაობა საქართველოს პარლამენტთან“, – განაცხადა **ხუციშვილმა.**



უნდა გვესმოდეს, რამხელა დემოგრაფიული, ეროვნული საფრთხის წინაშე ვდგავართ, რის გაცნობიერებაშიც ყველა თაობას თავისი როლი ეკისრება

საქართველოს რესპუბლიკა

ჟურნალისტური გამოძიება

№161-162. ორშაბათი, 16 ნოემბერი, 2026 წელი

2025 წლის 7 ივნისს, „ჯორჯიან თაიმსის“ ეთერში, ბატონ სოსო მანჯავიძესთან ვისაუბრე 2003 წლის ე. წ. „ვარდების რევოლუციაზე“, ხოლო ერთ კვირაში ტვ-ს წამყვანთან ერთად დაწვრილებით გავაანალიზე 2012 წელს მიმდინარე მოვლენები, რომლებიც აშკარად იყო ამოვარდნილი არჩევნების ჩვეულებრივი რუტინული დღის წესრიგიდან.

საინტერესოა, რომ ვიდეოჩანაწერი 2003 წლის მოვლენებზე ხელუხლებლად დევს სოციალური ქსელის არქივში და მსურველს შეუძლია იგი ნახოს, ხოლო მსგავსი ჩანაწერი 2012 წლის მოვლენებთან დაკავშირებით მკაცრადაა „გაკრეჭილი“ ე. წ. „ცენზურის“ მიერ – დატოვებულია მხოლოდ მცირე ფრაგმენტი დიალოგის დასაწყისიდან და მორჩა!!!



„მეგრული ფაქტორის“ გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ

ხელისუფლებავ, ყურადღებით, ყურადღებით მოუსმინეთ გიორგი ბარამიძეს!!!

ასეთი მკაცრი ცენზურა ნაცმოძრაობის წამყვანი ფიგურის მხრიდან შეუძლებელია შემთხვევითი იყოს;

იმ ჩანაწერში ჩამარხულ „კასრებზეც“ მძონდა საუბარი; ჩანს, ეს თემაც ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა ნაცების გარკვეული ჯგუფისთვის, რომელსაც გარამიძე წარმოადგენს.

და აი, ის საკმაოდ ვრცლად საუბრობს ამ საკითხზე; თავად ფაქტი, რომ იგი ამ თემას – როგორც მეორეხარისხოვანს – არ აუბრალოებს, მიანიშნებს იმაზე, რომ „კასრები“ რგოლია ჯაჭვისა, რომლის არსებობის გამჟღავნება სახიფათოა;

გარამიძის ამოცანაა, „კასრების“ არსებობას მოუძებნოს ლოგიკური ახსნა, რათა ვინმეს სხვა ეჭვი არ გაუჩნდეს! ჩემი აზრით, მან – გევრი სხვა თანაპარტიელისგან განსხვავებით – ზუსტად იცის „კასრების“ დანიშნულება; სწორედ ამიტომაც სხვები უგრალოდ „იკიდებენ“ ამ თემას, რასაც გარამიძე ნამდვილად ვერ გააკეთებს! ახლა ვნახოთ, რამდენად არგუმენტირებულად და ლოგიკურად გვიყვება გარამიძე კასრების არსებობის საკუთარ ვერსიას:

„თავის დროზე რომ ვითომ ამოთხარეს კასრები ხო?“..

ამ ფრაზაში აშკარად იკითხება ირონია და ეჭვის დათესვის მცდელობა, რასაც ეგრევე თავადვე ღალატობს და იწყებს კასრების არსებობის ლოგიკურ ახსნასა და მტკიცებას:

„კასრებში იარაღი რატომ იდო? ის იყო თავდაცვითი ზღუდე, იმ შემთხვევაში თუ მტერი შემოვიდოდა გარკვეულ მანძილზე, ჩვენს შესაბამის შეიარაღებულ ფორმირებებს და პარტიზანულ, ასე ვთქვათ, პარტიზანულად გადაქცეულ ფორმირებებს ჰქონოდათ, ადგილი, სადაც მონახავდნენ იარაღს და გამოიყენებდნენ იმას მტრის წინააღმდეგ.“

გარამიძე ამ მონოლოგით აშკარად ცდილობს, შეფუთოს და პატრიოტულ, სამხედრო-ტაქტიკურ ნაბიჯად წარმოაჩინოს „კასრების“ ეპიზოდი. ამასთან, წინასწარ იცის, რომ **თურმე მტერი შეიძლება შემოსულიყო კიდეც „გარკვეულ მანძილზე“!**

გარამიძეს ვიცნობდი და კარგად ვიცი, რომ იგი უგონო და ალოგიკური პერსონა არასდროს ყოფილა. შესაბამისად, შემთხვევით არაფერს ამბობს. მისი ვითომ დაბნეული და აცა-ბაცა მიეთ-მოეთი მხოლოდ ტაქტიკაა – ერთი მხრივ საკითხის მნიშვნელობის შესამცირებლად და გასატრიზავებლად და ყურადღების სხვა მიმართულებით გადასატანად. მიუხედავად ამისა, ამ „ტაქტიკურ“ წიაღსვლებში მაინც ბევრი ალოგიზმის ამოკითხვა შეიძლება.

კერძოდ: რატომ გაჩნდა შიში, რომ „მტერი“ შეიძლება თავს დაგვსხმოდა? რატომ მაინცადამაინც აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზე?

რატომ არ გატარდა ანალოგიური **ღონისძიებები პარტიზანული მოძრაობებისთვის** სამეგრელოს სხვა კუთხეებში?

უაღრესად საინტერესოა, რომ გარამიძე „კასრების“ თემაზე ისე საუბრობს, რომ არსად იყენებს სიტყვებს **„ალბათ“, „შესაძლოა“, „იქნებ“, „ვინ იცის“, „ვფიქრობ“, „ჩემი აზრით“...**

იგი ყველა თავის დებულებას გვაწვდის, როგორც საქმეში ღრმად ჩახედული, ყველა წვრილმანის მცოდნე პროფესიონალი, რომლის სიტყვებში ეჭვის შეტანა ყოვლად დაუშვებელია! ალბათ ზედმეტია იმის თქმაც, რომ ენგურის მიმდებარედ დამარხული კასრები ერთადერთი „სამალავია“ და მსგავსი რამ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე არავის უნახავს, რაც გარამიძის მონათხრობს სრულიად აბსურდულს და ალოგიკურს ხდის. და თუ ასეა, რატომ და რისთვის ირჯება ასე თავგადაკლული გარამიძე?

დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი გარამიძემ შესანიშნავად იცის კასრების დანიშნულებაც და 2012 წლის არჩევნების პერიოდში რუსეთის სპეცსამსახურებისა და მათი აგენტურის მიერ დაგეგმილი პროვოკაციის შინაარსიც: ვფიქრობ, მას და საკაშვილთან დაახლოებულ კიდევ რამდენიმე პირს ნანახი აქვთ ჩემი გამოსვლაც „ჯორჯიან თაიმსის“ ეთერში და სწორედ მათი მითითებით დაიბლოკა ის გადაცემაც სოციალური ქსელის საიტზე, რადგან გარდა ნაცმოძრაობისთვის „საშიში“ შინაარსისა, სხვა რაიმე, თუნდაც ფორმალური საბაბი გადაცემის დაბლოკვისა, არ არსებობდა!

შესაბამისად, ერთადერთი ხელშესახები მტკიცებულება, გარდა დაბლოკილი გადაცემისა, მხოლოდ გახმაურებული კასრების საკითხია, რომლის სრულ გაბიაბრუებას მონდომებით ცდილობს გარამიძე თავისი „ღრმად კომპეტენტური და დამაჯერებელი“ განმარტებებით.

რაც შეეხება 2012 წლის საარჩევნო პერიოდს – შევახსენებ საზოგადოებასა და ხელისუფლებას იმ მოვლენებს, რაც საჯაროდ ხდებოდა, მაგრამ ლოგიკური ახსნა ძალიან ჭირდა. რა ვითარება იყო საქართველოში 2012 წლისთვის?

ცხადია და მეც არაერთხელ მისაუბრია ამ თემაზე, რომ 2003 წლის გადატრიალება („ვარდების რევოლუცია“) დაიწყო აშშ-ს დაკვეთით, ზურაბ ჟვანიას უალტერნატივო ლიდერობით, რითაც ჩაიშალა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება და აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს იურისდიქციის სრული აღდგენით, რასაც პასუხად მოჰყვა რუსული ულტიმატუმი სამხედრო ძალის გა-



მოყენების შესახებ, სააკაშვილის წინ წამოწევითა და მისი ერთპიროვნული მმართველობის დამყარებით, და რასაც საბოლოო ჯამში შეეწირა ჟვანიას სიცოცხლე. ეს იყო ამიერკავკასიაში ბატონობისათვის ბრძოლის ერთერთი ეტაპი, რაც დღემდე გრძელდება!

ჟვანიას სიკვდილის შემდგომ აშშ სერიოზულად იწყებს „მუშაობას“ სააკაშვილის ხელისუფლებასთან;

აშშ-ს ხელისუფლებამ საქართველოში მოავლინა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი ჟვანიას სიკვდილის მიზეზების დასადგენად. თავად ეს ფაქტიც მრავლისმეტყველია და თვალსაჩინოს ხდის ჟვანიას ფიგურის მნიშვნელობას აშშ-სთვის. საგამოძიებო ჯგუფის დასკვნა უცნობია ჩვენთვის, მაგრამ შემდგომი მოვლენები ბევრ რამეზე მეტყველებს.

კერძოდ;

სააკაშვილი, რომელიც აქამდე პუტინის თვალების ფერის შესწავლით იყო დაკავებული და – ზოგი ინფორმაციით – ათეულოგით არასაპარო ვიზიტი ჰქონდა მოსკოვში, თვალდახელშუა „იცვლება“ და ღიად უმეგობრდება აშშ-ს!

ჯერ სენატორი მაკკეინი ჩამოდის ოფიციალური ვიზიტით და მას დიდი პომპეზურობით ხვდებიან; შემდეგ თავად აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი სტუმრობს საქართველოს!

დაკვირვებული თვალისთვის ცხადი ხდება, რომ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ამერიკულ გამოძიებას პირდაპირი კავშირი აქვს სააკაშვილის პოლიტიკური გემოვნების მკვეთრ „ცვლილებას“ აშშ-ს სასარგებლოდ!

სააკაშვილის რეჟიმი „დემოკრატიის შუქურად“ ცხადდება!

მაშინაც ხელისგულზე იდო აშშ-სა და რუსეთის დაპირისპირება ამიერკავკასიაში ბატონობისთვის. ცხადი იყო ისიც, რომ მიძაბისისგან მართული მიშა აშკარად ორმაგ თამაშს თამაშობდა, რისი დასტურიც იყო 2008 წლის კარგად დაგეგმილი ომი საქართველოსთვის უმძიმესი შედეგებით, რამაც ჩვენს ქვეყანას დიდი ხნით წაართვა მანევრის საშუალება. საქართველომ დაკარგა ტერიტორიების 20 პროცენტი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული სიმაღლეები. საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციები გამყარდა!

ქვეყანა დაჩქარებული წესით იძარცვება! პირველი პირები ითვისებენ არა მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფასეულობებს, არამედ მასობრივად ძარცვავენ კერძო პირებს... ვინც წინააღმდეგობას უწევს – ციხეში მიდის!





ივანიშვილი, რომელიც 2003 წლამდე საოთოფეზე არ ეკარებოდა პოლიტიკასა და ხელისუფლებას, „ვარდების რევოლუციის“ ტალღაზე „შემოჰყვა“ ჟვანიას პოლიტიკაში!

სწორედ ივი აშენებდა იუსტიციის სახლებს, პოლიციის შენობებს, აცმევდა და აიარაღებდა არმიას და პოლიციას! აშენებდა, აშენებდა და აშენებდა ბევრ რამეს, არემონტებდა თეატრებს, საბავშვო ბაღებს და სააკაშვილი ჭრიდა და ჭრიდა ლენტებს მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე!

ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთი მორიგ ჯერზე (90-იანების შემდეგ!) ისევ ცდილობდა ,,მეგრული ფაქტორის'' გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ!

ხელისუფლების შესანარჩუნებლად სააააშვილი მასობრივად ატერორებდა განურჩევლად ყველას! ხურავდა ტელევიზიებს, ანადგურებდა პრესას! ქვეყანაში 300 000 პრობაციონერია, ათიათასობით პატიმარი! ახლოვდება 2012 წლის არჩევნები! ოპოზიციის უპირობო ლიდერი ივანიშვილი ხდება!

არჩევნებისათვის ემზადება ყველა, მათ შორის აშშ-ის საელჩოც!

იმთავითვე ცხადი იყო, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო მორიგი (უკვე მერამდენე!!!) დაპირისპირება ამიერკავკასიისთვის დასავლეთსა და რუსეთს შორის. რა თქმა უნდა, „პროამერიკელი“ სააკაშვილის ხელისუფლების უკან აშკარად იკვეთებოდა რუსეთის სპეცების აჩრდილი, ხოლო ივანიშვილი და მისი მოძრაობა „ამერიკული არწივის“ ფრთებქვეშ მოექცა, რასაც განსაკუთრებით არც არავინ მალავდა. ამერიკა-რუსეთის ჭიდილი საქართველოში სერიოზული საფრთხის შემცველი რომ იყო, ეს აშკარად იკვეთებოდა.

ზემოთთქმული მოცემულობების ფონზე უაღრესად საყურადღებო იყო რამდენიმე მოვლენა, რაც ყველასათვის ღიად ხდებოდა, მაგრამ შესაბამისი დასკვნები ცოტამ გამოიტანა. მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ იმ მოვლენებს, რასაც საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ და რასაც ყველა ხედავდა! რუსეთმა, ქართული არჩევნების წინ, რამდენიმე დღით ადრე, მიაქციეთ ყურადღება – **მხოლოდ აფხაზეთში დისლოცირებულ სამხედრო ძალებში გამოაცხადა საბრძოლო მზადყოფნა ნომერი ერთი! ასეთი რამ არ მომხდარა 2003 წლის შემდეგ!**

აშშ-ს საელჩომ მთელი თავისი შტატი – ქართველი დაქირავებულების ჩათვლით – ჩართო არჩევნებში; გამოაცხადა ისინი ოფიციალურ დამკვირვებლებად აშშ-სგან, აღჭურვა შესაბამისი სამკერდე ნიშნებით და გაანაწილა საარჩევნო უბნებზე, მაგრამ უპირატესად სამეგრელოში! თავად ელჩის „შტაბშინაც“ არჩევნების დღეს რატომღაც სამეგრელო იყო! ამ ფონზე ძალიან საინტერესოა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსის „შტაბშინაც“ თვეების განმავლობაში, არჩევნების წინა პერიოდში, სწორედ სამეგრელო გახლდათ!

ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთი მორიგ ჯერზე (90-იანების შემდეგ!) ისევ ცდილობდა „მეგრული ფაქტორის“ გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ! ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივი იყო ზვიადისტთა მობილიზაციის მცდელობა სააკაშვილის ირგვლივ!

არჩევნების წინა დღეს საქართველოში დაეშვა თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიყვანა სამი ნატოელი გენერალი! არავის განუმარტავს რისთვის ან რატომ!

ეს სამი ნატოელი გენერალი არჩევნების მეორე დღეს გაფრინდა თბილისიდან! არც ახლა განუმარტავს ვინმეს ვის შეხვდნენ ან სად იმყოფებოდნენ ეს გენერლები სამი დღის მანძილზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში, 2012 წელს ამერიკისა და ნატოს სამხედრო გემები – მგონი 13 – მდე, იმყოფებიან შავ ზღვაზე და ატარებენ სამხედრო სწავლებებს...

უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2008 წლის ომმა სერიოზულად შეარყია აშშ-სა და საერთოდ დასავლეთის პოზიციები ამიერკავკასიაში, რაც მთლიანად სააკაშვილის ხელისუფლების დამსახურება იყო. შესაბამისად, თუ კარგად გავიაზრებთ სააკაშვილისა და მისი ჯგუფის პოლიტიკურ შოუს „კოკოითი ფანდარასტ“! – საინტერესო ასოციაცია ჩნდება სანდრა რულოვსის თვეობით გაჭიანურებულ მეგრულ იავნანასთან;

ზემოჩამოთვლილი მოვლენების ფონზე ჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2012 წელს, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, თავიდან აგვარიდა გრუ-ს მიერ ორგანიზებული მორიგი პროვოკაცია, რაც უნდა მომხდარიყო ,,მეგრელთა გადასარჩენად'', რასაც მოყვებოდა სამეგრელოს, ანუ ზღვის სანაპიროს უმეტესი ნაწილის ოკუპაცია ,,აფხაზეთის მიერ''... როგორც კი ასეთი რაკურსით შევხედავთ 2012 წლის არჩევნებისას მომხდარ მოვლენებს, ყველაფერი ლაგდება!

„კასრების“ ეპიზოდიც გასაგები ხდება, რადგან სამხედრო თვალსაზრისით, ბარამიძის ვერსიით თუ შევხედავთ „კასრებს“ – მათი მნიშვნელობა ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ნულდება, მაგრამ პროვოკაციისთვის, რათა მეორე მხარეს აეფრიალებინა როგორც ბოროტი ზრახვების მტკიცებულება“ – სრულიად საკმარისია!

ასევე გასაგებია, იქვე რატომ დამარხეს რეჟიმის სადიზმის ამსახველი „კომპრომატები“: ეს ხომ უნიკალური და შოკისმომგვრელი მასალა იქნებოდა მსოფლიოსთვის, თუ როგორ „ექცეოდნენ ქართველი ფაშისტები მეგრელებს, აფხაზთა ძმებს, რომლებმაც იხსნეს ისინი ამ უბედურებისგან“...

და აი ეს ყველაფერი იცის ბარამიძემ!!!

ვფიქრობ, ეს სხვამაც იცის... მაგალითად, მელიამ! ამ თვალსაზრისით უდავოდ საინტერესო ფიგურები არიან ძმები ახალაიები...

რუსეთის გეგმების შესახებ, როგორც მიხვდით, ცნობილი გახდა აშშ-სთვის და ყველა „უცნაურობა“ რაზეც თავიდან მოგახსენეთ, გასაგები ხდება!

შესაბამისად, მივმართავ ხელისუფლებას: რა ვიჯაკი! რის ვიჯაკი!

ყურადღებით! ყურადღებითა და დიდი პატივისცემით მოუსმინეთ ბარამიძეს!

თეიმურაზ კვირკველია



მიუხედავად თბილისისა და ბრიუსელს შორის არსებული დაძაბულობისა, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ დუბლინში, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მე-9 სამიტში მიიღო მონაწილეობა, სადაც საქართველოს ხელმოწერით დადასტურდა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი დეკლარაცია. ეს ვიზიტი და ლიდერების ერთობლივი შოტო კიდევ ერთხელ აჩვენებს ოფიციალური თბილისის სურვილს, შეინარჩუნოს დიპლომატიური ხიდები დასავლეთთან მაშინ, როცა კრიტიკოსები და დასავლური მედია საქართველოს ევროპული კურსის ცვლილებაზე საუბრობენ.



ხიდების შენარჩუნების მცდელობა თუ პოლიტიკური რეალობა?!

პრემიერი დუბლინის სამიტზე

მნიშვნელოვანი შეხვედრები და დეკლარაცია დუბლინში

დუბლინში ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 11-12 ნოემბერს გაიმართა, ირაკლი კობახიძემ მონაწილეობა მიიღო, როგორც საექსპერტო დისკუსიებში, ისე მაღალი დონის ცენარულ სესიებში.

11 ნოემბერს პრემიერმა სიტყვით მიმართა საერთაშორისო და ევროპულ საქმეთა ინსტიტუტს, სადაც ყურადღება გაამახვილა საქართველოს ევროპულ იდენტობაზე, ტრადიციულ ღირებულებებსა და რეგიონის სატრანზიტო მნიშვნელობაზე. ვიზიტის ფარგლებში შედგა მისი ორმხრივი შეხვედრა სომხეთის პრემიერ-მინისტრ **ნიკოლ ფაშინიანთანაც.**

12 ნოემბერს **კობახიძე** დაესწრო მრგვალი მაგიდის დისკუსიას თემაზე – **„დემოკრატიული ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა“.** სამიტის კულმინაცია გახდა 40-ზე მეტი სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს მიერ ხელმოწერილი ერთობლივი დეკლარაცია ევროპული უსაფრთხოების პრინციპების შესახებ, რომელიც მკაფიოდ გმობს რუსეთის ჰიბრიდულ კამპანიებს და ადასტურებს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

„ევრონიუსის“ ჟურნალისტის კითხვა და ფაქტობრივი რეალობა

მიუხედავად გოლო ჯერიოდში გამოკვეთილი პოლიტიკური დისონანსისა და რიტორიკული დაპირისპირებისა, საქართველოს ხელისუფლებისთვის ევროპულ პლატფორმებზე ყოფნა და საერთაშორისო დოკუმენტებზე ხელმოწერა პრაგმატული აუცილებლობაა.

ეს ნაბიჯი წარმოადგენს მკაფიო მცდელობას, რომ არ დაიწვას ხიდები დასავლეთ პარტნიორებთან. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ეკონომიკური ინტერესები და ევროპული ინტეგრაციის კონსტიტუციური ჩარჩო მოითხოვს მინიმალურ დიპლომატიურ კომუნიკაციას. კობახიძის მონაწილეობა ადასტურებს, რომ თბილისი ცდილობს ბალანსის შენარჩუნებას და არა – სრულ იზოლაციას დასავლური სტრუქტურებიდან.

დუბლინის სამიტი განსაკუთრებული აღმოჩნდა იმ სიმბოლური კონტრასტის გამოც, რომელიც მედიის შეფასებებსა და რეალობას შორის არსებობს. რამდენიმე დღით ადრე „ევრონიუსის“ ჟურნალისტმა პრემიერ-მინისტრს კითხვით მიმართა იმის შესახებ, რომ ევროპის ლიდერებს მასთან ფოტოს გადაღება არ სურდათ. თუმცა, სამიტის ოფიციალურმა და დასრულებულმა კადრებმა სრულიად განსხვავებული სურათი აჩვენა: **ირაკლი კობახიძე** ევროპელ ლიდერებთან ერთად მონაწილეობდა ერთობლივი ფოტოს გადაღებაში, რომლის კადრებიც, სწორედ იმავე „ევრონიუსის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.



როგორც ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** აღნიშნავს, ეს ფაქტი აჩვენებს, რომ დიპლომატიური პროტოკოლი და რეალური პოლიტიკური ფორმატები გაცილებით რთული და მრავალმხრივია, ვიდრე ცალკეული მედია-საშუალებების მიერ დასმული კრიტიკული კითხვები. ერთობლივ ფოტოზე ყოფნა ნიშნავს, რომ საქართველო ფორმალურად კვლავ რჩება ევროპული პოლიტიკური ოჯახის დიალოგის ნაწილად, მიუხედავად პოლიტიკური კრიზისისა.

„წითელი ხალიჩა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განადგურებული უკრაინა!“

„ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** დუბლინში გამართულ სამიტთან დაკავშირებით ოპოზიციის წარმომადგენლების შეფასებებს სოციალურ ქსელში ეხმიანება. **მისი თქმით, ოპოზიციისთვის მთავარი ზელენსკის მიმართ გამოხატული ყურადღება და ირაკლი კობახიძის მიმართ საერთაშორისო სამიტზე დამოკიდებულება გამხდარა და არა ის მძიმე რეალობა, რომლის წინაშეც დღეს უკრაინა დგას.**

ქართველიშვილი აღნიშნავს, რომ მსგავსი გზავნილები ახალი არ არის და ჯერ კიდევ სალომე ზურაბიშვილი საუბრობდა, რომ ზელენსკის წითელი ხალიჩებით ხვდებიან, საქართველოს ხელისუფლებასთან კი ფოტოებს არავინ იღებსო.

მისი შეფასებით, როდესაც ოპოზიციისთვის ქვეყნის უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფოტოები, ღიმილი და წითელი ხალიჩებია, ეს ნათლად აჩვენებს მათ პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

„ოპოზიციისთვის წითელი ხალიჩა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განადგურებული უკრაინა! მათთვის ისევ მთავარი ის გამხდარა, ზელენსკის როგორ ხვდებიან, რამდენ ფოტოს უღებენ და ირაკლი კობახიძე რატომ არ არის საერთაშორისო სამიტზე ყურადღების ცენტრში. ეს ნარატივი ახალი არ არის – ჯერ კიდევ სალომე ზურაბიშვილი საუბრობდა, ზელენსკის წითელი ხალიჩებით ხვდებიან, საქართველოს ხელისუფლებასთან კი ფოტოებს არავინ იღებსო.

მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლებს ავიწყდებათ მთავარი: საქართველოს ხელისუფლებასაც რომ გაეზიარებინა ის მოთხოვნები, რომლებსაც დასავლეთი უყენებდა, ირაკლი კობახიძეს აც წითელი ხალიჩებით დახვედროდნენ, ფოტოებსაც გადაიღებდნენ და ღიმილითაც შეხვდებოდნენ, მაგრამ რა იქნებოდა ამის ფასი?

სწორედ უკრაინის მაგალითი აჩენს ამ კითხვას. ქვეყანა, რომელიც რუსეთის აგრესიის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, განადგურებული ინფრასტრუქტურით, მილიონობით იძულებით გადაადგილებული ადამიანითა და უამრავი დაღუპულით, დღეს საკუთარი არსებობისთვის იბრძვის.

უკრაინის ტრაგედია სწორედ ის რეალობაა, რომლის უგულებელყოფაც ოპოზიციას ასე მარტივად შეუძლია. ზელენსკის პატივით დახვედრა თანაგრძნობის გამოხატულებაა იმ



უმედურების მიმართ, რომელიც მან ქვეყანას დაატეხა თავს, მაგრამ ოპოზიციისთვის ეს ყველაფერი პოლიტიკური წარმატების საზომად ქცეულა. ოპოზიციისთვის მთავარი ყოფილა არა ის, რომ უკრაინა უმძიმეს მდგომარეობაშია, არამედ ის, რომ ზელენსკის წითელი ხალიჩით ხვდებიან.


როდესაც ოპოზიციისთვის ქვეყნის უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფოტოები, ღიმილი და წითელი ხალიჩებია, ეს ნათლად აჩვენებს მათ პოლიტიკურ პრიორიტეტებს“, – მიიჩნევს **ქართველიშვილი.**

ლიკა ბერიკაშვილი









საქართველოს პოლიტიკური პროცესები ახალ, კრიტიკულ ფაზაში შედის. საკონსტიტუციო სასამართლოში ოპოზიციური პარტიების აკრძალვის შესახებ მმართველი გუნდის სარჩელის განახლებული განხილვის ფონზე, ოპოზიციურ ფლანგზე კვლავ აქტუალურია ერთიანობის საკითხი. თუმცა, წარსული გამოცდილება, შიდა დაპირისპირებები და საზოგადოების თვალში რეალური შედეგების არარსებობა მთავარ კითხვას ბადებს: დარჩა თუ არა ოპოზიციას კონსოლიდაციის რესურსი და რა რეალობის წინაშე აღმოჩნდება ქვეყანა პარტიების აკრძალვის შემთხვევაში?

ოპოზიციური ერთობის დილემა და საკონსტიტუციო სარჩელის რისკები

„ან ერთად ვიმარჯვებთ, ან ერთად ვმარცხდებით“

მოძრაობა „ჯერ საქართველოს“ თავმჯდომარე **ვიქტორ ყიფიანი** არსებულ პოლიტიკურ ვითარებას მკაცრად აფასებს და ოპოზიციურ სპექტრს ვიწრო პარტიული ინტერესების დათმობისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ცალკეული პოლიტიკური სუბიექტების მოლოდინი, თითქოს პრიზისის გადავლის შემდეგ „მოსუფთავებულ ველზე“ საკუთარ პოლიტიკურ დივიდენდებს მიიღებენ, აბსოლუტურად მცდარია.



„ჩვენ ახლა ისეთ ნეგატიურ ფენომენთან გვაქვს საქმე, რომელიც იქნება დაუნდობელი ყველას მიმართ, მიუხედავად იმისა, ტრადიციული პარტიაა თუ ახლად შემოსული... სწორედ ასეთი თამასა განაპირობებს იმას, რომ პარტიული ნაჭუჭებიდან გამოვიდეთ და გავიაზროთ, რომ ან ერთად ვიმარჯვებთ, ან ყველანი ერთად ვმარცხდებით“, – აცხადებს **ვიქტორ ყიფიანი**.

ხელისუფლების პოზიცია და საკონსტიტუციო დავა

მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ პროცესს სრულიად განსხვავებულად ხედავს და მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა ქვეყანაში ლეგიტიმაციის პრიზისის სამართლებრივი გზით გადაჭრის აუცილებლობით არის ნაკარნახევი. 2025 წლის ოქტომბერში შეტანილი და 2026 წელს დაზუსტებული სარჩელით, ხელისუფლება ხუთი ოპოზიციური სუბიექტის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო/ძლიერი საქართველო“, „ახალი/კოალიცია ცვლილებისთვის“, „ფედერალისტები“ და „საქართველოსთვის“) არაკონსტიტუციურად ცნობასა და აკრძალვას ითხოვს.

დუბლინში, საერთაშორისო და ევროპულ საქმეთა ინსტიტუტში გამართულ დისკუსიაზე, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ოპოზიცია საპარლამენტო საქმიანობის საბოტაჟსა და არჩევნების შედეგების უსაფუძვლო არაღიარებაში დაადანაშაულა. მან ასევე გააკრიტიკა საერთაშორისო აქტორები და ევროკავშირის ელჩი საარჩევნო პროცესში ჩარევის გამო.

„ოპოზიცია აცხადებს, რომ ჩვენი ხელისუფლება არალეგიტიმურია. ჩვენ კი ანალოგიური პოზიცია გვაქვს ოპოზიციის რადიკალურ ნაწილთან დაკავშირებით. შესაბამისად, საბოლოოდ უნდა არსებობდეს ინსტიტუტი, რომელიც ამ საკითხზე სამართლებრივ შეფასებას გააკეთებს და დაადგენს, ამ ორი მხარიდან რომელია არალეგიტიმური – ხელისუფლება თუ შესაბამისი ოპოზიციური პარტიები. სწორედ ამიტომ მივმართეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს“, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

„ოპოზიციის ალიანსის“ კრიზისი და ერთიანობის რესურსი

მაშინ, როცა ხელისუფლება სამართლებრივ გერკინტებს იყენებს, თავად ოპოზიციურ ფლანგზე ერთიანობის იდეა სერიოზული გამოცდის წინაშე დგას. 2026 წლის 2 მარტს ცხრა ოპოზიციური სუბიექტის მიერ შექმნილი „ოპოზიციის ალიანსი“ თავიდანვე არასრული აღმოჩნდა, რადგან მასში გაწევრიანებაზე უარი თქვა ორმა პარტიამ – „ლელო – ძლიერი საქართველო“ და „გახარია – საქართველოსთვის“.

უფრო მეტიც, საზოგადოებას ალიანსის მხრიდან კოორდინირებული, ქმედითი ნაბიჯები თითქმის არ უნახავს, ხოლო გაერთიანებიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გარიცხვამ კიდევ უფრო გაამყარა სკეპტიციზმი იმის თაობაზე, რომ პარტიებს ერთმანეთთან თანამშრომლობა შეუძლიათ. მმართველმა გუნდმა ამ პროცესს თავიდანვე „კლოუნადა“ უწოდა, ხოლო ამომრჩეველში იმედგაცრუება გაიზარდა.

* * *

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაგნიძე ამბობს, რომ ოპოზიციურ ფლანგზე გაერთიანების რესურსი ქალაქ დედაზე ყოველთვის არსებობს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ამის პრაქტიკული განხორციელება იშვიათად ხერხდება.




„პრობლემა ის არის, რომ ოპოზიცია დღემდე ცდილობს ერთობას არა იდეოლოგიური ან მკაფიო სტრატეგიული მიზნების გარშემო, არამედ მხოლოდ ეგზისტენციალური შიშის გამო. სანამ პარტიები და მათი ლიდერები ვერ გაიგებენ, რომ ვიწრო პარტიული ამბიციები და „პარტიული ნაჭუჭები“ უნდა დათმონ საერთო ინტერესების სანაცვლოდ, ყოველი ასეთი გაერთიანება იქნება ზედაპირული და მყიფე. ოპოზიციას არ სჭირდება უბრალოდ „ყველა ყველასთან“ ფორმატი – მათ სჭირდებათ მინიმალური პროგრამა-მინიმუმი და ნდობის კრიზისის დაძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი ალიანსი დარჩება მხოლოდ საპროტესტო იმიტაციად, რომელიც ვერც ამომრჩეველს დაარწმუნებს და ვერც ხელისუფლებას შეუქმნის რეალურ ალტერნატივას“, – განაცხადა მან.

მისივე თქმით, დღეს ოპოზიციაში მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ საერთო მიზანი არ აქვთ, არამედ ის, რომ ერთმანეთს არ ენდობიან და პირველობის ამბიციას ვერ ერევიან.

„ძველი ფორმატით – ხელოვნური გაერთიანებებითა და ხმაურიანი განცხადებებით აღარაფერი გამოვა, რადგან ამომრჩეველს ამის აღარ სჯერა. რეალურად, ახლა მათ ერთიანობა სჭირდებათ არა პოსტების გასანაწილებლად, არამედ უბრალოდ თვითგადარჩენისთვის. თუ პარტიები ვერ მოახერხებენ, რომ ვიწრო პარტიული ინტერესები გვერდზე გადადონ და ერთმანეთთან კონკურენციის ნაცვლად, კონკრეტულ საკითხებზე, თუნდაც საარჩევნო გარემოსა და სამართლებრივ დაცვაზე შეთანხმდნენ, მაშინ ეს დაქსაქსულობა ხელისუფლებას საქმეს გაუადვილებს და სათითაოდ ყველას მარტივად გაანეიტრალებს“, – განაცხადა **ვახტანგ ძაგნიძემ.**

ლიკა ბერიკაშვილი







ШИО МЕСАМЕ:

მხოლოდ უფლისადმი ერთგულების გზა მიგვიყვანს სასუფევლამდე!

ძვირფასო ძმეგო და დეგო, ვევედროთ წმინდა 100 ათას ქართველ მოწამეს, რომ გვასწავლონ, ვიყოთ ერთგული მოწმენი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, – ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **შიო მესამემ 100 ათასი ქართველი მოწამის ხსენების დღეზე** გამართული პარაკლისის შემდეგ ქადაგებისას განაცხადა.

„თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავარნო, პატიოსანო მამანო, დედანო, ძვირფასო ძმეგო და დეგო, გილოცავთ 100 ათასი ქართველი მოწამის ხსენებას. ეს დღე განსაკუთრებულია ჩვენი ეკლესიისთვის და სრულიად საქართველოსთვის. როგორც უთქვამს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, ეს დღე არის ქართველი ერის სულიერი გაბრწყინების და ზეიმის დღე. წმინდა 100 000 მოწამე, ისევე როგორც სხვა მოწამეები, არიან დიდება და მშვენება ქრისტიანული ეკლესიისა, არიან ყველაზე ძლიერი ქადაგება აღდგომილ ქრისტეზე. რას ნიშნავს მოწამე, ეს ნიშნავს მოწმეს, ასე ჟღერს ბერძნული სიტყვა – მარტის, ნიშნავს მოწმეს და ნიშნავს მოწამეს. წმინდა მოწამეები სწორედ ამას მოწმობენ, რომ ქრისტეში სიკვდილს არა აქვს არანაირი ძალა. ქრისტეში ჩვენ გვეძლევა მარადიული სიცოცხლე და უკვე აქ, ეკლესიაში, ეკლესიურ საიდუმლოებებში, ლოცვებით, ჩვენ ვხვდებით მარადიული ცხოვრების მიმღებნი და თანაზიარნი, მონაწილეები. წმინდა მოწამეები კვდებოდნენ ქრისტესთვის, რომ გამხდარიყვნენ სიკვდილზე მისი გამარჯვების თანაზიარნი. ამიტომაც, წმინდა მამები ამბობდნენ, რომ მოწამეობა, მიწაში ჩავარდნილი მარცვალივით ქრისტიანობისთვის იქცა იმ თესლად, რომელმაც შემდგომ უხვი ნაყოფი გამოიღო.

მართლაც, მიუხედავად სასტიკი დევნისა, აკრძალვების, სიკვდილით დასჯის, ქრისტიანული ეკლესია მაინც მრავლდებოდა, სწავლება ქრისტესი გრძელდებოდა. ამას პირველი მიძგი, როგორც იცით, მისცა წმინდა მოციქულთა ქადაგებამ, რომელთა უმრავლესობაც, როგორც ქრისტეს ერთგულმა მოწმეებმა, სიცოცხლე დაასრულეს მოწამებრივად, მოწამებრივი სიკვდილი მიიღეს. მათ შემდგომ პერიოდებში, მიუხედავად სასტიკი დევნისა, სიკვდილით დასჯისა, უფალი ყოველთვის ამრავლებდა მორწმუნეებს ეკლესიაში და მფარველობდა ეკლესიას და ამაში ფასდაუდებელია მოწამეების დამსახურება. მათი ერთგულებით, სიყვარულით შთაგონებული იყო მრავალი ადამიანი და მათი ლოცვით, მათი წყალობით, მათი ღვაწლის წყალობით ეკლესიამ შეძლო ამა სოფლისგან მომდინარე სიძულვილის და ნარმართობის დამარცხება.

ასე იყო წმინდა კეთილმსახური, მოციქულთა სწორი შეფე კონსტანტინე დიდის პერიოდშიც, ასე იყოს შემდგომ პერიოდებშიც. ასე იყო მე-20 საუკუნეშიც, როდესაც ათეისტური ხელისუფლება დამარცხდა ეკლესიასთან ბრძოლაში, ჩამოიშალა და წავიდა. დღეს ჩვენ, მთელი ეკლესია, მთელი ერი, სამღვდელოება, ჩვენი ხელისუფლებაც, ერთად ვზეიმობთ, აღნიშნავთ ჩვენი ქვეყნის, სრულიად საქართველოს გაქრისტიანების 1700 წლისთავს და ეკლესია დგას, არსებობს. ღრმად გვწამს, რომ ეკლესია იარსებებს, ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე, რადგან დამყარებულია უფალი იესო ქრისტეს უტყუარ სიტყვებზე: მე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და ჯჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას. ჩვენც გვწამს, რომ წმინდა მოწამეების ლოცვით, უფალმა ჩვენ შეგვიწყალა, მოგვიყვანა წმინდა ეკლესიაში, სულის გადასარჩენად, საცხოვნებლად, მოგვიწოდა, მოგვიყვანა და ჩვენი ვალია, შევძლოთ, ვიყოთ ღირსნი ამ დიდი მოწამეების, წმინდანების ხსენებისა, ვისაც დღეს ჩვენ ვადიდებთ და ვიყოთ მემკვიდრენი მისნი უფლისადმი სიყვარულსა და ერთგულებაში.

100 ათასი ქართველი მოწამის ხსენების დღესთან დაკავშირებით გამართულ პარაკლისს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყველაფერს ესწრებოდა.



ნინო ლაცაბიძე:

რუსთაველებისთვის ისტორიული გადაწყვეტილება მიღებულია

იაღლუჯის ფერდობზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია იწყება

იაღლუჯის მთის ფერდობზე, ათწლეულების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემის გადაჭრის მიზნით, მიწების სარეგისტრაციო პროცესი იწყება. ამის შესახებ ინფორმაცია რუსთავის მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გამართულ შეხვედრაზე მიაწოდეს


„დღეს მართლაც, რომ ისტორიული დღეა, ჩვენ შევხვდით რუსთავის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს. იაღლუჯის მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება და უახლოეს მომავალში დავიწყებთ სარეგისტრაციო პროცესს. 12 ათასამდე დაინტერესებული პირი შეძლებს გახდეს იაღლუჯის ტერიოტრიაზე არსებული მიწის მესაკუთრე“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **თამარ ზოდელავამ.**

„რუსთაველებისთვის ისტორიული გადაწყვეტილება მიღებულია და იაღლუჯის ფერდობზე არსებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია იწყება. მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, სამთავრობო გუნდს, ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურას, რომელიც ამ ძალიან რთული პროცესის რუსთაველებისა და ბოლომდე მიყვანაში დაგვეხმარა“, – განაცხადა რუსთავის მერმა **ნინო ლაცაბიძემ.**

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, იუსტიციის სამინისტროს, რუსთავის მერიის და ქვემო ქართლის გუბერნიის ერთობლივი ძალისხმევით პრობლემის გადასაწყვეტი კონკრეტული გეგმა შემუშავდა.

„გადაწყდა 40-წლიანი პრობლემა, საკითხი ეხება იაღლუჯის ფერდობზე რუსთაველებისთვის ძალიან მნიშვნელოვან თემას – მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას. უახლოეს დღეებში დაიწყება სარეგისტრაციო პროცესი და ყველა რუსთაველს, რომელსაც ამ ტერიტორიაზე აქვთ მიწის ნაკვეთი, შეეძლება ამ პროცესში ჩართვა. მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ მინისტრს და ყველა იმ სამთავრობო სტრუქტურას, რომელიც ამ საკითხის გადაჭრაში იყო აქტიურად ჩართული“, – განაცხადა ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა **ილია ჯალაღანიამ.**

იაღლუჯის ფერდობზე არსებული მიწის ნაკვეთები, რუსთაველებს გასული საუკუნის 80-იან წლებში გადაეცათ და მათ დაკანონებას ათწლეულების განმავლობაში ვერ ახერხებდნენ.



ხრისტო ბოტევი – უკვდავების თანაზიარი

„თავისუფლების იდეა უპირველესია და მის სიყვარულს ყველაფერი ძალუძს“. გულგარელი ხალხის კლასიკოსისა და ეროვნული გმირის ეს სიტყვები კაცობრიობის მარადიული დევიზია.

ჭეშმარიტი პოეტი ყველა ქვეყანაში და ყოველ დროში სამშობლო ქვეყნის მოჭირნახულეა, გულშემატკივარი და საკუთარი სიტყვით ერისთვის გზის გამკვალავი.

ასეთია პოეტი **ხრისტო ბოტევი,** რომლის ლექსებში გამჟღავნებული სიყვარული, თავისუფლების წყურვილი და სამშობლოს ბედის გამო ტკივილი, ჩვენი ქვეყნის, საქართველოსთვისაც ახლობელი და უპირველესია.

150 წელი შესრულდა მას მერე, რაც 28 წლის ჭაბუკმა პოეტმა სამშობლოს თავისუფლებას გმირულად შესწირა თავი. ამიტომაცაა მისი გარდაცვალების დღე, ანუ მისი უკვდავებასთან თანაზიარების დღე, გულგარელი ხალხის თავისუფლების დღესასწაული.

დიახ, პოეტის გარდაცვალების კი არა, მისი უკვდავების თავწყაროა. ყველა დიდი პოეტი წინასწარმეტყველია, ასეთი იყო თავად ხრისტო ბოტევიც.

იქნებ დავეცე ცხარე ბრძოლაში,
ვეღარ ვიხილო რიყრაჟი დილის,
მაგრამ მე ჯილდოდ ისიც მეყოფა,
თუკი სახელი დამრჩება გმირის.

ხრისტო ბოტევის სახელი და მისი პოეზია იმდენ საუკუნეს იცოცხლებს, სანამ ყავლი არ გაუვა კაცობრიობისთვის უმნიშვნელოვანეს ამ სამ სიტყვას: **სიკეთე, სიმართლე, თავისუფლება**.

სწორედ მის ხსოვნას მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც მწერალთა სახლში გაიმართა.

ლიტერატურულ საღამოზე წარმოდგენილი იყო ხრისტო ბოტევის ქართულად თარგმნილი პოეტური კრებული. წიგნი თარგმნა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა.**

ღონისძიება გახსნა საქართველოში ბულგარეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ივან ივანოვმა. მან დიდი მადლობა გადაუხადა მთარგმნელს და მოწვეულ სტუმრებს ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებისათვის, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ქართულ-ბულგარულ მეგობრობის ხიდებს.

სიტყვით გამოვიდნენ: ჩვენი სახელოვანი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი **რევაზ მიშველაძე,** სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი **ინდირა ძაგანია,** მწერლები **თემურ გოგსაძე, გაღათერ არაგული, ერეკლე საღლიანი.**

მსახიობმა **გულიადა სანოძემ** წაიკითხა პოეტის რამდენიმე შედევრი. საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საერთაშორისო ლიტერატურული ლაბორატორია „გრაალის“ წევრები **გაგა გომართელი, ოთო ფალიანი, პახაგერ ჭლიკაძე, ცირა ოქროპირიძე.**

საღამოს ლაიტმოტივად იქცა პოეტის სიტყვები: **„მოგვმადლე, ღმერთო, სიყვარული თავისუფლების, თავისუფლების მძაფრი ჟინით აღავსე ერი“...**

ნანა ჟორჟიძე



ეს კარგი თანამშრომლობის საწინდარია!



„ევრონიუსი“: საქართველოს, აზერბაიჯანს, ბულგარეთსა და თურქეთს შორის სუფთა ენერგიის სფეროში შეთანხმება, შესაძლოა, ევროკავშირის ქვეყნებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებაში დაეხმაროს

კასპიის ზღვის რეგიონიდან აღმოსავლეთ ევროპაში ელექტროენერგიის მიწოდების ახალი მარშრუტი, შესაძლოა, ევროკავშირის ქვეყნებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებაში დაეხმაროს, – ამის შესახებ **„ევრონიუსი“** იტყობინება **და ყურადღებას ამახვილებს საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთისა და ბულგარეთის ერთობლივ ენერგეტიკულ პროექტზე.**

„ევრონიუსის“ შეფასებით, ახალი ენერგეტიკული დერეფანი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ენერგიის იმპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას მისცემს.

ოთხმა ქვეყანამ 10 ნოემბერს, თურქეთის ქალაქ ანტალიაში გაერო-ს კლიმატის კონფერენციის ფარგლებში სუფთა ენერგიის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას მოაწერეს ხელი. დოკუმენტი ითვალისწინებს კასპიის ზღვის რეგიონში ქარისა და მზის ენერგიით გამომუშავებული ელექტროენერგიის საქართველოსა და თურქეთის გავლით ბულგარეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ბაზრებზე მიწოდებას.

„ევრონიუსის“ ცნობით, ანტალიის კლიმატის მოლაპარაკებების ფარგლებში გაფორმებული შეთანხმება მრავალწლიანი კონცეპტუალური დაგეგმვიდან კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ ვალდებულებებზე გადასვლას ნიშნავს. მიზნების მისაღწევად ოთხი ქვეყანა ელექტროენერგეტიკული ქსელების სინქრონიზებულ სისტემას ქმნის, რომელმაც ტრადიციული ლოგისტიკური შეზღუდვები უნდა გადალახოს. ინფრასტრუქტურა დაეყრდნობა სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის ტერიტორიაზე არსებული მაღალი ძაბვის სახელმწიფო ელექტროგადამცემი ხაზების გაფართოებას. პროექტის მნიშვნელოვანი კომპონენტია სატრანზიტო მარშრუტის გასწვრივ ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის პარალელური განვითარება. ეს ელექტროენერგიის უსაფრთხო და უწყვეტ გადაცემას, ასევე ელექტროქსელის თანამედროვე მართვას უზრუნველყოფს.

„ევრონიუსის“ შეფასებით, სამხრეთ კავკასიის ელექტროენერგეტიკული ქსელის ბულგარეთთან პირდაპირი დაკავშირება ევროკავშირის ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ენერგიის მიწოდების ახალ, მნიშვნელოვან მარშრუტს შექმნის.

„ელექტროქსელების მოდერნიზაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური ტვირთის ოთხი ქვეყნის ეკონომიკაზე გადანაწილება თანამშრომლობის უფრო სტრუქტურირებულ გარემოს შექმნის.

მრავალმხრივი კოორდინაცია ამცირებს ლოჯისტიკურ რისკებს საერთაშორისო ინვესტორებისთვის, კერძო საინვესტიციო ფონდებისა და განვითარების ბანკებისთვის, რომლებმაც, სავარაუდოდ, მშენებლობის მომავალი ეტაპები უნდა დააფინანსონ“, – ნათქვამია **„ევრონიუსის“** სტატიაში.

ნავთობის გაძვირების რამდენიმეთვიანი მძიმე პერიოდი დასრულდა

ახლა ნავთობის გაიაფების დროა!!!

დიდი კრიზისის შემდეგ სანავთობო ბაგარგე დამაიმედებელი ნიშნები გამოჩნდა. გაიაფების ტენდენცია აშკარაა, ხოლო ახლო აღმოსავლეთში სულ უფრო ძლიერდება გრძელვადიანი სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. მსოფლიო ბანკი ვარაუდობს, რომ მომავალ წელს 1 ბარელი ნავთობი, დაახლოებით, 80 დოლარის ფარგლებში იმერყეველებს, რაც 35-დოლარიან კორექციას ნიშნავს ოქტომბრის შასთან შედარებით.

„ბრენტის“ ფასი აგვისტოს შემდეგ, პირველად, ბარელგე 92-დოლარიან ნიშნულგეა. ლონდონის ბირჟაგე იანვრის შიუჩერსებიის ღირებულება 2.6%-ით შემცირდა, ამერიკული „ლაითის“ ღირებულება კი 85 დოლარამდე დაეცა.

გლობალურ გაზარზე ფასების მკვეთრი კლება აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განცხადებამ განაპირობა. როგორც ცნობილია, თეთრ სახლში ყატარის პრემიერ-მინისტრ შეიხ მუჰამედ გინ აგდულრაჰმან ალ თანისთან გამართული შეხვედრის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თეირანთან თითქმის ცხრათვიანი დაპირისპირება, შესაძლოა, მალე დასრულდეს. მხარეებს შორის კონფლიქტის დასრულებისკენ მიმართული დინამიკა შეიმჩნევა, ირანის სამხედრო რესურსი კი, ფაქტობრივად, ამოწურულია. მოლაპარაკებებს ამერიკული მხარე „თავაზიანად აწარმოებს“.

ანალიტიკოსების შეფასებით, ბაზარზე მიწოდების შეფერხების რისკების შემცირება ჰორმუზის სრუტეში ნედლი ნავთობის გადაზიდვების აღდგენამ და თეირანის პოზიციის შესაძლო შერბილებამ განაპირობა. პარალელურად, ნავთობის ფასზე ზეწოლას ახდენს მიწოდების ზრდა. „ოპეკი პლუსის“ წევრი ქვეყნების ნავთობის მოპოვება ოქტომბერში გაიზარდა და ირანთან ომის დაწყებამდე არსებულ მაჩვენებლებს მიუახლოვდა. მოპოვების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი საუდის არაბეთს მიუძღვის, მიუხედავად იმისა, რომ ჰორმუზის სრუტეში გადაზიდვები კვლავ შეფერხებულია.

დამაიმედებელია სამომავლო პროგნოზებიც. მსოფლიო განკის განახლებული ანგარიშით, 2026 წლის გოლოსთვის, ნავთობის ფასი 1 ბარელზე 91 დოლარი იქნება, 2027 წელს კი – 79 დოლარი.

„გალტ ენდ თაგარტის“ უფროსი ანალიტიკოსის **ოთარ ცუხიშვილის** თქმით, მომდევნო წლისთვის არსებული პროგნოზები იმ შემთხვევაში გადაიხედება, თუ ირანსა და აშშ-ს შორის სამხედრო დაპირისპირება კვლავ განახლდება.



„იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ესკალაცია მოხდა, მსოფლიო ბანკი ელის, რომ 2027 წელს, 1 ბარელი ბრენტის ტიპის ნავთობი 105 დოლარი ეღირება“, – განმარტა **ოთარ ცუხიშვილმა.**

მანვე მიმდინარე დინამიკაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს შემდეგ, პირველად, „ბრენტის“ ფასი 91 დოლარიან ნიშნულს ჩამოსცდა.

„ბოლო დღეებში, ჩვენ ვიხილეთ ნავთობის ფასის მნიშვნელოვანი კლება, რაც პირდაპირ კავშირშია აშშ-ის შუალედურ არჩევნებთან. გაჩნდა მოლოდინი, რომ ირანთან 9-თვიანი სამხედრო კონფლიქტი დასრულდება“, – აღნიშნა ანალიტიკოსმა.

მთელი 2026 წელი ნავთობის ბაზარი მაღალი მერყეობით გამოირჩევა. თუ წლის დასაწყისში „ბრენტის“ ფასი ბარელზე, დაახლოებით, 60-დოლარს შეადგენდა, გაზაფხულზე, სამხედრო დარტყმების ესკალაციის პიკზე, მაჩვენებელმა თითქმის 120 დოლარს მიაღწია. ამ მომენტში კი, 1 ბარელი 92 დოლარი ღირს.


ბირჟებზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას მოელის ფინანსისტი **ნიკა შენგელია.** იგი ჯერჯერობით გამორიცხავს, რომ შავი ოქროს ღირებულება 75-დოლარიან დიაპაზონში დაბრუნდეს.



„უახლოეს პერიოდში ნავთობის ფასი 89-95 დოლარის ფარგლებში იმერყეველებს. იმ შემთხვევაში, თუ ჰორმუზის სრუტეში აქტიური მოქმედებები განახლდება, ნავთობი კვლავ დაუბრუნდება 105-დოლარიან ნიშნულს. ახლა ბაზარზე დროებითი კორექციაა და არ ნიშნავს, რომ ნავთობი მკვეთრად 75 ან 70 დოლარამდე დაეცემა.

რაც შეეხება აშშ-ის შუალედურ არჩევნებს, მას გარკვეული ფსიქოლოგიური გავლენა ჰქონდა. ბაზარმა იმოქმედა იმ იმედით, რომ დემოკრატები რუსეთის დასაჩოქებლად ნავთობის გაიაფებას შეეცდებიან, მაგრამ რეალურად ეს დროებითი რეაქციაა“, – განაცხადა **ნიკა შენგელიამ.**

ბექა დანელია





დადგება თუ არა პაატა სალიას პასუხის-მგებლობის საკითხი?



ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის განგრძობად ნაკლებად მძიმე დაზიანებაა, რაც 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს – გენერალურმა პროკურატურამ პრიმინალურ წრეებთან დაკავშირებული პატიმრის დავით ფეიქრიშვილის საკანში ცემის შაქტზე ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტებს – ვატო ყიფიანს, შოთა ყიფიანს, ავთანდილ ბილანიშვილს, პავლე გოცირიძეს და დავით კაჭარავას ახალი ბრალდება წარუდგინა.

ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტებთან ერთად, დავით ფეიქრიშვილის საკანში ცემის შაქტზე, ბრალი წარედგინათ პენიტენციური სამსახურის ყოფილ გენერალურ დირექტორ გიორგი პატარიძესა და გლდანის ციხის ყოფილ დირექტორ რამაზ ფირცხალავას. პროკურატურა ბრალდებულებისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2026 წლის 16 ოქტომბერს, ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებული ბრალდებულები – ვატო ყიფიანი, შოთა ყიფიანი და ავთანდილ ბილანიშვილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში შეასახლეს.

მათი საკანში განაწილებამდე, ვატო ყიფიანის თხოვნის საფუძველზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის გიორგი პატარიძის მითითებით და №8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის რამაზ ფირცხალავას გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული პირები და ამავე დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებული დავით კაჭარავა, ასევე მსჯავრდებული პავლე გოცირიძე, დავით ფეიქრიშვილის საკანში შეასახლეს.


რამაზ ფირცხალავა


გიორგი პატარიძე

იმავე დღეს, **ვატო** და **შოთა ყიფიანებმა, ავთანდილ ბილანიშვილმა, დავით კაჭარავამ** და **პავლე გოცირიძემ** ჯგუფურად განახორციელეს ფიზიკური ძალადობა **დავით ფეიქრიშვილის** მიმართ, რაც გაგრძელდა 2026 წლის 20 ოქტომბრამდე. **განხორციელებული ძალადობის შედეგად, ფეიქრიშვილმა მიიღო მთელ სხეულზე მრავლობითი დაზიანებები, მათ შორის 4 ნეკნის, ხერხემლის მალების განივი მორჩების მოტეხილობა და თავის ტვინის შერყევა, რაც მიეკუთვნება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების ხარისხს, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით.**

დაკავებულების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია ოპერატიულად გაავრცელა დაკავებულების დედამ, რომელიც ამბობდა, რომ ამ ძალადობას ხელი, სწორედ პატარიძემ შეუწყო. მიუხედავად იმისა, რომ **გიორგი პატარიძემ** უკვე იცოდა, რა მოხდა გლდანის ციხეში, თავდაპირველად გაავრცელეს განცხადება, სადაც კატეგორიულად უარყოფდნენ არა თუ ერთ საკანში განთავსების, ასევე რაიმე სახის კომუნიკაციას და რა თქმა უნდა, ძალადობის ფაქტებს.

თუმცა, მას შემდეგ, რაც დაკავებულებს ადვოკატი შეხვდა, უწყებამ დაადასტურა დავით ფეიქრიშვილის ცემის ფაქტი. შესაბამისად, პროკურატურის მოთხოვნით გიორგი პატარიძეს და რამაზ ფირცხალავას უფლებამოსილება შეუჩერდათ. მიმდინარე გამოძიების საქმეზე, პატარიძეს – ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, ხოლო ფირცხალავას – სახელურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე წარედგინათ. აღნიშნული დანაშაულები, სასჯელის სახედ და ზომად სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის საგანგებო ბრიფინგის შემდეგ, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, კრიმინალურ ავტორიტეტებთან დაკავშირებული ძმები ფეიქრიშვილები გლდანის მე-8 დაწესებულების სხვა ნაწილში, ყოფილ ე.წ. მატროსოვის ციხეში გადაიყვანეს. რაც შეეხება ასევე ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტებს, **ავთანდილ ბილანიშვილს,** იგივე **„კაწროს“** და **ვატო ყიფიანს,** ისინი ამ დროისთვის ქსნის მე-10 დაწესებულებაში არიან მოთავსებულნი.

აღსანიშნავია, რომ ძმებ ფეიქრიშვილებზე განხორციელებული ძალადობის საქმეზე, ავთანდილ ბიბილაშვილის კავშირს უარყოფდა მისი ადვოკატი და აცხადებდა, რომ გლდანის მე-8 დაწესებულებაში პატიმრებს არავითარი კვეთა არ ჰქონიათ. **თამარ აბესაძე** აცხადებს, რომ ბრალი აბსურდულია და ის მხოლოდ დაზარალებულის, დავით ფეიქრიშვილის მიერ მიცემულ ჩვენებას ეფუძნება.

„ბრალდებას არ ვეთანხმებით, ეს ბრალი ძალიან აბსურდული და ჩვენთვის მიუღებელია, ვდაობთ და ვნახოთ, სასამართლოში ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე ბრალდება ამ მოცემულობას როგორ შეინარჩუნებს და სასამართლო ამაზე გამამტყუნებელ განაჩენს როგორ დააყენებს... ის წარდგენილ ბრალდებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს არ ეთანხმება. ვნახოთ, სასამართლო წინ არის. დადასტურდება ის გარემოება, რომ ავთანდილ ბილანიშვილს წარდგენილ ბრალში ქმედება არ განუხორციელებია. რა თქმა უნდა, შევხვდი, რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით ვისაუბრეთ, მიგვაჩნია, რომ ეს აბსურდული ბრალდებაა, საგამოძიებო მოქმედებებში ჩვენც ვერთვებით, ბრალდების მხარის იმედზე ნამდვილად არ ვართ“, – განაცხადა **აბესაძემ.**

კითხვაზე, **ავთანდილ ბილანიშვილი** იმასაც უარყოფს თუ არა, რომ ის საერთოდ იმყოფებოდა **დავით ფეიქრიშვილის** საკანში, ადვოკატი არ პასუხობს და აცხადებს, რომ უნდა დაველოდოთ საგამოძიებო მოქმედებებს.

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დუმილის უფლებას იყენებს და წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს. თქვენ გინდათ, რომ მე მივცე ჩვენება, მე ვითანამშრომლო ტელევიზიებთან, ჟურნალისტებთან, დავარღვიო დაცვის უფლებები?... ციხის უსაფრთხოების პრეროგატივაა, ვის, სად გადაიყვანენ, ციხე ციხეა ყველგან. ქსანში იმყოფება, მაგრამ თქვენ როგორ ფიქრობთ, სანატორიუმია, დასასვენებელი სახლია, თუ რა? – ციხეა“, – აცხადებს **თამარ აბესაძე.**

ამ დრომდე უცნობია დაკავებული ყოფილი ანების პოზიცია. რაც შეეხება დავით ფეიქრიშვილს, აცხადებს, რომ მისი წამების მოტივაცია იყო ტელეფონი. გარდა ამისა, მისივე განცხადებით, პროკურორის პასუხისმგებლობაა ის, რომ ტელეფონი დალუქული უნდა ყოფილიყო. ფეიქრიშვილის თქმით, ავთანდილ ბილანიშვილი, იგივე **„კაწრო“, ვატო ყიფიანი** და **შოთა ყიფიანი,** მასთან საკანში ტელეფონების გასახსნელად შეუშვეს. როგორც ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე აღნიშნა, საკანში შესვლის შემდეგ, მათ დაურეკეს გიჩო მარგველაშვილს, რომელმაც კამერის მეშვეობით, დავით ფეიქრიშვილს მისი პირადი ტელეფონი დაანახა და აღნიშნული ტელეფონის პაროლი მოსთხოვა.



„გიჩო აჩვენებდა ტელეფონებს. ამ დროს მე უკვე ნაცემი და ნაწამები ვიყავი. მე ვეუბნებოდი, რომ თუ პოლიციას ენდომებოდა, გახსნიდა. მიპასუხეს – „არა, ჩვენ გვინდა, უნდა დავამტკიცოთ, რომ შენ მართალი ხარ“, ვითომ ჩემს მხარეს იყვნენ. ავთანდილ ბილანიშვილი, იგივე „კაწრო“, ვატო ყიფიანი, შოთა ყიფიანი შემოსვლის მომენტიდან ჩემთან შემოიყვანეს. არც კარანტინი გაუვლიათ. პროკურორის პასუხიმგებლობა იკვეთება. მე რომ მაწამებდნენ, ამაში ჩართულები იყვნენ ციხისა და პენიტენციურის უფროსები.

ისინი შემოიყვანეს პარასკევს, რომ ორშაბათამდე ხმა ვერ მიმეწვდინა. ამის შემდეგ გადამიყვანეს „ვივამედში“, შემდეგ კი უკან დამაბრუნეს. მე რომ გავყავდი, გოცირიძე და შოთა ყიფიანი, ციხის თანამშრომლებთან ერთად დამყვებოდნენ, რომ ვინმესთვის რაიმე არ მეთქვა. იზოლირებული ვყავდი. ერთადერთი შანსი ის იყო, რომ ორშაბათამდე გამეძლო, რომ ადვოკატი შემოსულიყო. მანამდე კი ის ადვოკატი, რომელთანაც 11 წელი ვმეგობრობდი და შვილის ნათლია ვარ, მოვიდა და ადვოკატი ვეღარ ვიქნებიო. ნდობა ამ პროკურორის მიმართ ნულია“, – განაცხადა **დავით ფეიქრიშვილმა.**

გამოძიებას უნდობლობას უცხადებს დავით ფეიქრიშვილის დედა **ნინო აბრამიშვილი** და აცხადებს, რომ ბრალის წარდგენა წამების მუხლით უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, ითხოვს პატარიძისა და ფირცხალავას დაკავებას, მათ შორის, დამკვეთის დასახელებას და დაკავებას.

„მე არ ვარ კმაყოფილი კვალიფიკაციით. ეს არ იყო ძალადობა, ძალადობა ნიშნავს ერთჯერადად ჩადენილს, აქ იყო წამება. ეს იყო ჯგუფურად ჩადენილი, ყველანი ჯგუფურად მუშაობდნენ – პატარიძეც, ფირცხალავაც, ვატო და შოთა ყიფიანი, გოცირიძე, ბილანიშვილი, კაჭარავა. გუშინ პროკურორმა გასაგებად გააჟღერა ინფორმაცია, რომ 19 ოქტომბერს დათუნას ოჯახთან დაარეკინა პროკურორმა, ეს ჩვენ არ მოგვითხოვია, დათუნას არ მოუთხოვია. პროკურორმა დარეკვის უფლება მისცა, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორი, ვაკის პოლიციის გამომძიებლები, რომლებიც დათუნას დაჭერაში მონაწილეობდნენ, ჯგუფურად მუშაობდნენ.



დათუნამ ძალადობის შემდეგ დარეკა და დაუნებით ითხოვდა, კარგად ვარ და აქ არ მოხვიდეთო. ეს დანაშაული ჯგუფურია. თუ დასჯაა, სახელმწიფოს უნდა ესმოდეს თავისი წვლილი პასუხისმგებლობა და იუსტიციის მინისტრსაც. მოვუწოდებ მთავრობას, დაუფიქრდით, რას აკეთებთ! თქვენ თუ სამაგალითოდ არ დასჯით ამ მთელ ბანდას, ვერაფერს დაუმტკიცებთ ხალხს. რატომ არ არის დაკავებული გიჩო მარგველაშვილი? რატომ არ წაუყენეს ბრალი ბაუტაშვილს? ისინი სხვა ჯგუფი იყვნენ?“, – აცხადებს **ნინო აბრამიშვილი.**

ამასთან, **აბრამიშვილი** ითხოვს, რომ იუსტიციის მინისტრმა, პაატა სალიამ თანამდებობა დატოვოს.

„პაატა სალიას ვურჩევ, თვითონ დატოვოს სამსახური, როცა ადამიანი კომპეტენტური არაა, მან სამსახური თვითონ უნდა დატოვოს. სალია კონცერტებს წერებოდა და ზღაპრებს გვიყვებოდა, ციხეში რა კარგი მდგომარეობააო. ამ დროს იცოდა, რომ ადამიანი ნაცემი იყო, მე კი, უბრალო ადამიანი, დილიდან ღამემდე ქუჩაში ვეძებდე და სიმართლეს ვითხოვდი. მან მე დამცინა! ყველა პატიმრის დედას დასცინა. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც იმავე დღეს თქვა, რომ დანაშაულის ნიშნები ჩანდა, გია ვოლსკია. მხოლოდ ამ ერთმა ადამიანმა შეძლო ამის თქმა!

სალია დადიოდა და იცინოდა, გეგონება, საქმე კარგად ჰქონდა! დაწერე განცხადება და წადი! რა უფლება აქვს, რომ დღესაც თანამდებობაზეა? იცოდა? – ცუდია. არ იცოდა? – კიდევ უარესი! კარგი ის არის, ვაუკაცობა ეყოს და სამსახურიდან წავიდეს, ვერ უძღვება! როგორ გგონიათ, ციხის უფროსი ამ ყველაფერს ისე გააკეთებდა? და პატარიძე სუს-ის, შსს-ს გარეშე? მაშინ ყველა ფეხზე უნდა დავდგეთ, წასულია ჩვენი საქმე!“, – აცხადებს **ნინო აბრამიშვილი.**

თამთა ძარჩავა



ბულგაკოვის «ძაღლის გული» თავისუფალ სცენაზე

თავისუფალი თეატრის სპექტაკლი, მიხეილ ბულგაკოვის „ძაღლის გული“ წარმოადგენს მორალურ ატრაქციონს იღენტობის ძალადობრივ მსხვრევასა და შემოქმედის პასუხისმგებლობაზე. სპექტაკლი საბჭოთა კლიშეების გარეშე ეხმიანება გედროულ პრობლემებს, რაც ეპოქების მიღმა გაჟღერებული ყეშის განცდას ქმნის. გაეცანით სპექტაკლის ანატომიას რეცენზიაში.

მიხეილ გულგაკოვის საუკუნოვანი სატირული შედევრი „ძაღლის გული“, თავისუფალი თეატრისა და დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის თეატრის ერთობლივი ნამუშევრით, სცენაზე სრულიად ახალი, მოულოდნელი ფანტასმაგორიული და ეგზისტენციალური სიცოცხლით აღდგა.

ინსცენირების ავტორმა **ნინია სადღობელაშვილმა** და რეჟისორმა **გიორგი სიხარულიძემ**, ნაწარმოები გამოსტაცეს კონკრეტულ საბჭოთა ეპოქასა და მის ყოფით კარიკატურებს. **ამგვარმა მიდგომამ ტექსტის აქტუალობა ზედროულ, მარადიულ იგავად აქცია.**

სპექტაკლის სცენოგრაფიული ხაზი **(მხატვარი თეო კუხიანიძე)** ასკეტური, თუმცა სიმბოლოებით მაქსიმალურად დატვირთული შავთეთრი ესთეტიკითაა გადაწყვეტილი. სცენის წინა პლანზე აღმართული გამჭვირვალე ბადეფარდა ერთდროულად ქმნის კლინიკური იზოლაციის ეფექტსა და დროის იმ ბურუსს, რომლის მიღმაც მაყურებელი მოქმედებას აკვირდება. რეჟისორული ჩანაფიქრის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს ორი მრგვალი, განათებით მკვეთრად მონიშნული კუნძული, ე. წ. მინისცენა, რომლებიც ხან იდეოლოგიურ პედესტალებად, ხანაც პერსონაჟთა სრულფასოვანი გაუცხოების სივრცეებად გვევლინება. ამ სივრცეში ფუნდამენტურ როლს თამაშობს **კაბარეს სტილიზაცია**. სცენაზე განლაგებული მაგიდები შავ-თეთრი გადასაფარებლებით, შამპანურის ჭიქები და იქვე აღმართული საცეკვაო ბოძი, მაყურებელს მორალური ატრაქციონის ეპიცენტრში აბრუნებს. გადასაფარებელი ქსოვილების პერიოდული ახდითა და დაფარვით, რეჟისორი თვალისმომჭრელად ცვლის ლოკაციებს: პროფესორის არისტოკრატული სახლი მომენტალურად ტრანსფორმირდება ცინიკურ კაბარედ. ეს ვიზუალური ილუზია აშიშვლებს მთავარ სათქმელს – **როცა საზოგადოება ღირებულებებს კარგავს, უზნეობა მეცნიერებაც და ყოველდღიური ყოფაც ერთ დიდ, იაფფასიან შოუდ იქცევა.**

ამ მორალური კუნძულების ცენტრში დგას დრამა – სიტუაციის აბსოლუტური ბატონისა და დირიჟორის, პროფესორ პრეობრაჟენსკის (გიორგი **გიორგიძე)** მთავარი ინსტრუმენტი, რომელზეც ხმიანად დაკვრით იგი ევოლუციის რიტმისა და ბუნების კანონების დამორჩილებას ცდილობს.

ამ სივრცეში განსაკუთრებული მისია აკისრია მთხრობელს **(კახა მიქიაშვილი)**, რომელიც სპექტაკლში გვევლინება როგორც ერთგვარი




გონების თვალი. ის ზევიდან დაჰყურებს მიმდინარე ქვეყნიურ ქაოსს და არა მხოლოდ აფასებს, არამედ ახმიანებს დადგმის მთავარ, ფარულ სათქმელს, რომლითაც მაყურებლის ცნობიერებას მუდმივი ფხიზელი მზერით მართავს.

ერთ-ერთ მომენტში მას ცალი ფეხი უდგას მრგვალ კუნძულზე და თითქოს ღმერთის თვალით, აბსოლუტური სიმაღლიდან აკვირდება მიწიერ ფარსს, ხოლო მისი მისტიკური ფრაზა – ***„იმაზე ვამბობ, ვისაც არ ვახსენებთო“*** – მაყურებელს სამყაროს იმ გამოუთქმელ, უზენაეს წესრიგს ახსენებს, რომლის დარღვევაც საბედისწეროა. ქრისტეს მცნებების კარნახით იგი სპექტაკლს რელიგიურ-მორალურ ჭრილს სძენს და ახმიანებს უმძიმეს განაჩენს: **„ადამიანი ყველაზე საშიში ცხოველია ამ სამყაროში...“**

ვიზუალურ მინიმალიზმს სრულყოფს კომპოზიტორ **ანი მურღულიას** მძლავრი, ხმიანი კლასიკური მუსიკალური გაფორმება, რომელიც პერსონაჟების შინაგანი ქაოსისა და მოახლოებული კატასტროფის აკუსტიკური გამოძახილია.

სპექტაკლის სოციალურ-პოლიტიკურ მრავალფეროვნებას ააშკარავებს ორი მეტაფორული პერსონაჟი – თავდაპირველად „ეგოს“, მერე „ეგო პლუსად“ტრანსფორმირებული ე.წ. ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ბულგაკოვისეული საბჭოთა ბიუროკრატების პოსტმოდერნულ ალტერნატივად გვევლინებიან. ერთი მათგანი, კორსეტიანი ქალი **(ლიზა რუხაძე),** კაბარეს ტიპის ესტრადული ნომრებითა და ცეკვებით, ხაზს უსვამს საზოგადოების ზედაპირულ **ბუნებას. მეორე პერსონაჟი (ოთო ლასხიშვილი) კი თავიდან** პროფესორთან საკუთარი კომფორტისთვის – ფართის დათმობის პრეტენზიით შემოდის, თუმცა ამ მერკანტილური საკითხის ჩაშლის შემდეგ, მომენტალურად ირგებს ფსევდო-პროგრესული უფლებადამცველის მანტიას. ეს ჯგუფი აქტიურად იწყებს დაიმონ ბაბლის (ბულგაკოვის **შარიკოვის)** „უფლებების“ დაცვას, რითაც რეჟისურა აშიშვლებს თანამედროვე იდეოლოგიური ბაბლების ფარისევლობას: ისინი უუფლებო არსებას იყენებენ საკუთარი სოციალური კაპიტალის გასაზრდელად. სწორედ ამ მანკიერ გარემოში ბაბლი წარმატებულად სწავლობს ადამიანურ მანკიერებებს – სმას, ბილწსიტყვაობასა და პარაზიტიზმს. ის უხეშად ექცევა სახლის ტრადიციულ საყრდენს – შინამოსამსახურეს **(ზინას – ლიზა რუხაძე)**, რითაც საბოლოოდ ანადგურებს იმ სახლის მყუდროებას, რომელშიც შეიკედლეს. ის პროფესორის ბინაში რჩება მემკვიდრეობის მიღების იმედით



და ითხოვს სახელს, გვარსა და მაღალ სოციალურ სტატუსს, რაც თავიდან პროფესორის ამპარტავნულ გართობას იწვევს, თუმცა მალე მისსავე უდიდეს სასოწარკვეთად გარდაიქმნება.

ამ სცენური ტრავედიის აბსოლუტურ ეპიცენტრში დადგმის მთავარი მიღწევა და ნამდვილი იდეური ფლაგმანი – **თიკო კორძაძის** მიერ განსახიერებული დაიმონ ბაბლი (შარიკოვი) დგას. მცირე სცენის ასკეტურ სივრცეში, მსახიობი მოაზროვნე არტისტიზმითა და საოცარი, დინამიკური პლასტიკით ათვინიერებს სცენას. თიკო კორძაძის მოძრაობის ენა, სხეულის თითქმის ცხოველური პულსაცია, იმპულსური ნახტომები და მელოდრამატული ექსპრესია სცენაზე სასწაულ, ელექტრიზებულ ატმოსფეროს ქმნის. ის საკუთარი ენერგეტიკით ამოძრავებს და ავითარებს სპექტაკლის მთელ ფილოსოფიურ ხაზს. დადგმის ნოვატორული ღერძი ბაბლის გენდერულ იდენტობასა და მის შინაგან მუნებაში გადის – პერსონაჟი თავს ქალად უფრო აღიქვამს, რაც მის ანდროგენულ, ხელოვნურად შექმნილ ჰიბრიდულ არსებობას კიდევ უფრო მტკივნეულს ხდის. აქ იკვეთება სპექტაკლის ყველაზე ჰუმანური ხაზი: ბაბლის უყვარდება დოქტორი ბორმენტალი **(მამუკა მუმლაძე)**, რომელიც ამ გრძნობას ცივი თავშეკავებითა და ზიზღით იგერიებს. ექიმის სასოწარკვეთილი რეპლიკა – **„რაც უფრო ადამიანს დაემსგავსე, მით უფრო ცხოველი გახდი... რა დაგემართააა...“** – ზუსტად გამოხატავს ექსპერიმენტის კრახს. ეს არის არსების ნამდვილი დრამა – ის ძალით გამოიყვანეს ცხოველური უცოდველობიდან, აიძულეს ადამიანობა, თუმცა, როდესაც მან სამყაროს უმაღლესი ადამიანური გრძნობით, სიყვარულით უპასუხა, მისი ადამიანური განცდები არავინ ცნო.

ამ უსამართლობის ფონზე, გონების თვალად ამ ეტაპზე მოვლინებული „ეგო პლუსის“ „უფლებადამცველ“ პროფესორს მორალურ პასუხისმგებლობას სთხოვს: **„პროფესორო, გეკითხებით, აქვს თუ არა ბაბლის უფლება, ისე იცხოვროს, როგორც მას სურს?..“** პრეობრაჟენსკი კი კვლავ ძველი, კლასობრივი და ცივი ამპარტავნებით აცხადებს: **„შენ განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მყოფი არსება ხარ, არსებაა...“**

მეტამორფოზის კოსტიუმი, რომელსაც პერსონაჟი გარდამავალ პერიოდში ატარებს, მისი დანაწევრებული იდენტობის მატერიალური გამოხატულებაა. სპექტაკლის ფინალში, როდესაც პროფესორი თითქოს „კლავს“ დაიმონ ბაბლის და ექიმი მის გადარჩენას აცხადებს, ხდება როლების სრული, საბედისწერო როტაცია. პროფესორი თავად ირგებს ბაბლის ამავე კოსტიუმს და ძაღლისებრი აგონიით ყეფს, ხოლო თავად ბაბლი ძაღლის ნიღბით ბრუნდება.

გიორგი სიხარულიძის რეჟისორული ფინალი განაჩენია ადამიანებისთვის: **ის, ვინც ბუნების კანონების დარღვევით ღმერთობანას თამაშობდა და სიტუაციას, ვითარებას დირიჟორობდა, თავად იქცა იმ ცხოველად, რომლის მართვასაც ცდილობდა, ხოლო მის მიერ შობილი დესტრუქციული ძალა ნიღბაფარებული, უკვდავი და მუდმივად მზარდი საფრთხის სახით კვლავ საზოგადოებაში დარჩა.**

გუბაზ მეგრელიძე

ფოტოებზე: სცენები სპექტაკლიდან „ძაღლის გული“

დავით დოიაშვილის ამერიკული წარმატება

ქართველი რეჟისორის დავით დოიაშვილის ახალი სპექტაკლის „ხანძრები“ პრემიერა ამერიკაში, ნიუ-იორკში 2027 წლის ნოემბერში გაიმართება.

სპექტაკლში მონაწილეობენ **ნინა კასრაძე, ნატა მურვანიძე, კახა კინწურაშვილი, ნანკა კალატოზიშვილი, ეკა დემეტრაძე, გივიკო ბარათაშვილი, მანუ თავაძე** და **გოგა გველესიანი**. ახალი სპექტაკლი დავით დოიაშვილმა **ვაჟდი მუავადის „ხანძრების“** მიხედვით დადგა. ნიუ-იორკულ პრემიერამდე 2027 წლის იანვარში თბილისში სპექტაკლის ლიმიტირებული ჩვენებები გაიმართება.



საგერძნეთში, ქალაქ თესალონიკში, საქართველოს გენერალური საკონსულოს და გამომცემლობა Entypios-ის ინიციატივით, არისტოტელეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, 4 დეკემბერს დათო მაღრაძის პოემის, “ბარაქიანი მიწის“ ბერძნული ვერსიის პრეზენტაცია გაიმართება.

პრეზენტაცია არისტოტელეს უნივერსიტეტში გაიმართება.

პოემა გამომცემლობა **Entypios**-მა გამოსცა და მისი პირველი პრეზენტაცია 2026 წელს თესალონიკის 22-ე წიგნის ფესტივალზე შედგა. ბერძნულ ენაზე წიგნი ნინო ლუკაშვილმა თარგმნა.

„ბარაქიანი მიწის“ ბერძნული ვერსიის პრეზენტაცია თესალონიკში




Γεννημένος το 1962, ο **Dato Magradze** είναι ένας από τους σημαντικότερους Γεωργιανούς ποιητές και ο συγγραφέας των στίχων του Εθνικού Ύμνου της Γεωργίας. Το 1984 αποφοίτησε από το Κρατικό Πανεπιστήμιο της Τφίλισας, από τη Φιλολογική Σχολή. Κατά καιρούς διετέλεσε αρχισυντάκτης εφημερίδων και περιοδικών και εργάστηκε σε ΜΚΟ και οργανισμούς για τα ανθρώπινα δικαιώματα.

Το 1991 ίδρυσε το Γεωργιανό PEN Center και υπήρξε πρόεδρός του έως το 2010, ενώ το 1992 ανέλαβε Υπουργός Πολιτισμού της Γεωργίας, θέση που κράτησε μέχρι το 1995. Έχει εκδώσει πολλές ποιητικές συλλογές και τα έργα του έχουν μεταφραστεί στα γερμανικά, αγγλικά, ιταλικά, τουρκικά, ρωσικά, εβραϊκά, αραμαϊκά και άλλες γλώσσες. Σήμερα το βιβλίο του «Giacomo Pontis διδάσκεται στο σχολείο «Don Bosco» στο Botgomanero και από το 2009 είναι μέλος της Academy of American Poets. Ο Dato Magradze έχει συμμετάσχει και βραβευθεί σε φεστιβάλ βιβλίου στο Lugo, στη Γένοβα, στην Orta, στο Lugano, στο Eboli κ.ά.

Μεταξύ των σημαντικών διακρίσεών του συγκαταλέγονται το Georgian State Prize (2005) για τη συλλογή Salve, το βραβείο Golden Wing της International Federation of Journalists για το χείμαρο του Εθνικού Ύμνου, η Europe International Medal από τον Πάπα Βενέδικτο ΙΣΤ' για το Salve, μετάλλιο της Academy of Culture of Verona (2009), το ιταλικό κρατικό βραβείο Anassilaos (2014) και το πρώτο βραβείο του Διεθνούς Φεστιβάλ Eboli (2011), καθώς και ο τίτλος του Πολιτισμικού Ηρέσβη και Επίτιμου Ακαδημαϊκού της Universum – Swiss International Society of Culture. Το 2011 η Επιτροπή Νόμπελ της Σουηδικής Ακαδημίας αναγνώρισε την υποψηφιότητά του για το Βραβείο Νόμπελ Λογοτεχνίας. Από το 2013 είναι κάτοχος του «Diploma d'onore Academia Mondiale della Poesia» (Βερόνα) και μέλος της World Academy of Poetry.

ISBN
BARCODE






ჩვენ ვაჭკაცობა ძველთაგან მოგვდგამს

თითქოს აგუ-დაგიში მომხდარი არაკაცობის შემდეგ ემოციები ცოტათი მაინც უნდა ჩამცხრალიყო, მაგრამ არაფერი მსგავსი – რაც დრო გადის, უკეთურობა სულ უფრო მკაცრად ფასდება, ეს კი საომავლოდ რიცხვმრავლობით „გამამაცებულ“ პიჟონთათვის მნარე მაგალითად უნდა იქცეს, რათა სასტუმროში ოქტაგონის მოწყობა ვეღარ გაბედონ.

წლის მოჭიდავე **საბა ლაზიშვილზე** განხორციელებული ლაჩრული თავდასხმის გამოძახილის მცირე ნაწილს გავეცნოთ:

ლაშა გეჟაური – ნეტავ მანდ ვყოფილიყავი! მერაგ, საბა, თქვენ ქართულ გულს ვენაცვალე! ისეთი პასუხი გაეცით, როგორიც შეგვეფერება! შეიძლება, რაოდენობრივად ცოტანი ვიყოთ, მაგრამ ჩვენ ქართულ გასაკეთებელს ყველგან გავაკეთებთ!



ეთერ ლიპარტელიანი – მერაგ, მარტო არ ხარ! მთელი საქართველო შენს გვერდით დგას! ჩვენი სიამაყე ხარ და გვსურს, რომ ჩვენი სიყვარული და მხარდაჭერა იგრძნო. ქართველები ერთმანეთს არასდროს ვტოვებთ! თავი მაღლა, ჩემპიონო!

ჯერ ის ვიკითხოთ – ნურმაგომედოვე:ბის ხროვის ხსენებისას რატომ ავლებენ პარალელს მათ კავკასიელობასთან? დიახ, როგორც ოჯახში ვერ მოსთხოვ ყველას ვაჟკაცობას, რადგან მის წევრ თითოელ ინდივიდს სხვადასხვა დადებითი თუ უარყოფითი თვისება გამოარჩევს, ისეა კონკრეტულად ამ შემთხვევაში დაღესტნელებთან მიმართებაშიც – განა ისტორიულად ლეკები არ იყვნენ, თუნდაც **მეფე ერეკლეს** რომ უშრომდნენ სისხლს მარბიელთა რაზმებით ან მიპარვით, ქურდულად რომ სტაცებდნენ დედის კალთას საუკუნეთა მანძილზე უამრავ ქართველ ბავშვს?

თუ ვინმე გაგვაკრიტიკებს – მთიელ მეზობელთა ასე ცალმხრივად დაგმობა არასწორია, რადგან მათ რუსულ იმპერიასთან მუხლმოუდრეკლად მებრძოლი **შამილიც** ჰყავდათო, მათ ასეთ პასუხს გავცემთ: კი ბატონო, მსგავსი სამარცხვინო ფაქტების მთელ ერზე განზოგადება ერთი შეხედვით საჩოთირო საქმეა, მაგრამ, მეორეს მხრივ, რატომ მოგვყავს წუწურაქობის ეტალონებად, ვთქვათ, ფრანგები? – ვითომ, მათ შორის არ მოიძებნებიან მოგრიალე დარდიმანდი **ფანტიაშვილები?**


მოკლედ, შევთანხმდეთ, რომ კარგი და ცუდი ყველას ჰყავს, ახლა კი **მერაგ დვალიშვილსა** და 21 ელოდნენ, როცა მერაგს სილა გააწნეს?

ისრაელ ადესანია – გარკვეული პერიოდის განმავლობაში გველებმა შეიძლება ტყავი შეიცვალონ, მაგრამ მუდამ გველებად დარჩებიან ნებისმიერ შემთხვევაში. მერაგ და საბა, ორივენი გამარჯვებულნი ხართ.

და ბოლოს: UFC-ის ქვესაშუალო წონის ჩემპიონმა **ისლამ მახაჩევმა** ზაფხულში თბილისში დაწყებული კონფლიქტი გაიხსენა, როცა მერაგმა დაღესტნელ მოჭიდავეს სახეში გაარტყა და იკითხა: რატომ დუმდით მაშინ, როცა მასპინძელმა სტუმრის ღირსება შეურაცხყო?

ძვირფასო არამკითხე მოამბევ! მაშინ ხომ ყველაფერი მხარეებს შორის ხელის ჩამორთმევით და შერიგებით დასრულდა? თუ კავკასიელობასა და მთის დაუწერელი კანონების ერთგულებას აწვებით, გულში ბოღმა არ უნდა ჩაიდოთ! ეს ისე, სხვათა შორის...

დავძენთ, რომ მერაბი და საბა 50 ათასი დირჰემის გადახდის შემდეგ გათავისუფლდნენ არაბული ციხიდან და რაფ-ის საჭიდაო ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება მიეცათ, პრემიერმა **ირაკლი კობახიძემ** კი, რომელსაც აღნიშნული საკითხი პირად კონტროლზე ჰყავდა აყვანილი, ქმედითი ოპერატიული რეაგირებისთვის მადლობა გადაუხადა საგარეო და შინაგან საქმეთა უწყებების ხელმძღვანელებს – **მაკა ბოჭორიშვილსა** და **სულხან თამაზაშვილს**. მანვე შეაქო იქაური სასამართლო, რომელმაც ხულიგნებს 80-ათასდოლარიანი ჯარიმა, 6-თვიანი პატიმრობა და დეპორტაცია მიუსაჯა, რაც ავტომატურად გულისხმობს უახლოესი ტურნირებიდან მოკვეთას.




ისე, ნახევრად ხუმრობით, აბუდაბის სასტუმროში ჩატარებული რეპეტიცია ქართველ გმირებს საკეთოდ გამოადგათ, რადგან მერაგ დვალიშვილმა რაფ-ის შერკინება კარიერაში მეორედ მოუგო ბრაზილიელ მორაეშს, ხოლოს აბა ლაზიშვილმა პროფესიულ ასპარეზზე დებიუტი გამოჩენილ ამერიკელ ვეტერან ფეიბერთან დამაჯერებელი ქამბექით აღნიშნა – 12:7.

ხვიჩა კვარაცხელია – მერაგ, საბა! მადლობა და თქვენ გვერდით ვართ. კიდევ ერთხელ აჩვენეთ მსოფლიოს, რას ნიშნავს იყო ქართველი, კაცი და ადამიანი, განსხვავებით იმათგან, რომლებიც ლაჩრულად, უკნიდან მოპარვით და უთანასწოროდ შეეცადნენ თქვენ დაჩაგვრას. კაცები ასე არ იქცევიან. რა თქმა უნდა, ეს არ გამოუვიდათ და ქართველებთან არც არასდროს გამოუვათ.

ნიკოლოზ გასილაშვილი – არაკაცური, არასპორტული საქციელი. მერაგ, შენ გვერდით ვართ, როგორც ყოველთვის.

შონ ო'მალი – პატივისცემა მერაბის მეგობარს. როგორც თქვეს, ის მებრძოლი არ არის, მხოლოდ ჭიდაობს და არც ურტყამს, მაგრამ უსმანის ბიჭები დააგდო. აბა, რას

ტრიუმფის კარდიოგრამა



ძიუდოში ზაგრების გრან პრიზე **გიორგი ლოლაძე** ჩემპიონი გახდა და საქართველოს პირველი ოქროს მედალი მოუტანა. 73 კგ წონით კატეგორიაში ლოლაძემ ლატვიელი ანტონიო დე ანგელისი, ბრაზილიელი ჯეფერსონ ჟუნიორი, ისრაელელი იეონათან ელბაზი, კანადელი ჯასტინ ლემირი და კოსოვოელი აკილ ჯაკოვა დაამარცხა. ფინალში კი ირლანდიელ ჯოშუა გრინს აჯობა და ოქროს დაეუფლა.

* * *



მოკრივე ემილ ისმაილოვი IV ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია.

სენეგალის დედაქალაქ დაკარში მიმდინარე ფორუმზე 55 კგ. წონითი კატეგორიის ფინალურ შეხვედრაში მან ავსტრალიელი მარლი დოდი 5:0 დაამარცხა და საქართველოს IV ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე პირველი ოქროს მედალი მოუპოვა.

ტურნირის პირველ შეხვედრაში ისმაილოვმა დომინიკელ მაიკლ რეიესს 4:1 მოუგო. მეოთხედფინალში ლიბანელ რამზი ჰილალს 5:0 სძლია და მინიმუმ ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ნახევარფინალში კანადელმა ლისანდრო გარსია რებელომ ხელის ტრავმის გამო ასპარეზობა ვერ შეძლო და ისმაილოვი პირდაპირ ფინალში გავიდა. ეს არის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი სპორტსმენების მიერ მოპოვებული მეორე ოქროს მედალი. 2018 წელს ბუენოს-აირესში ჩემპიონი გახდა **გიორგი ჩხეიძე** (ბერძნულ- რომაული ჭიდაობა). სულ ჯვაროსნებმა აფრიკაში 4 მედალი მოიხვეჭეს: 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.



* * *

ჩინეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბატუტზე სინქრონულ ხტომებში **მარიამ გაბრიაძემ** და **ელენე პირთაძემ** ოქრო მოიპოვეს და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ!

ვულოცავთ ამ დიდ გამარჯვებას გოგონებს, მწვრთნელთა გუნდს, ტანვარჯიშის ფედერაციას და მთელ საქართველოს!

საამაყო ციფრები

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების 37-წლიანი ისტორია 1989 წლის 17 სექტემბერს ქუთაისში ზიმბაბვეს ძლევით დაიწყო – 17:6, სახელოვანი გიორგრაფიის მე-300 მატჩი კი გორჯღალოსნებმა ავჭალაში ტონგასთან დამაჯერებელი გამარჯვებით აღნიშნეს – 55:31 (22:14), რამაც პრესტიჟულ ტურნირში ლიდეროზა შეგვინარჩუნა.

სულ ჩვენმა გუნდმა 188-ე შეხვედრა მოიგო 10 ფრისა და 102 მარცხის საპირწონედ, უშუალოდ კუნძულელები კი მე-9 ბრძოლაში მე-7, მათ შორის ზედიზედ მე-6 დავამარცხეთ 2 წაგების წილ.

მეტოქის სიძლიერეზე მის მიერ დადებული 5 ლელო და ბონუს-ქულა მეტყველებს, რომელმაც ტაიმების მიჯნაზე მოპოვებული დროებითი უპირატესობით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა – 21:22, მაგრამ მთლიანობაში **პიერ-ანრი ბრონკანის** შეგირდები შეუჩერებელნი იყვნენ.

რაც შეეხება ქულებს, 2-2 ლელო **კარკაძემ** და **ტაბუცაძემ** დადეს, თანაც ამ უკანასკნელს კარიერაში უკვე 56 ლელო დაუგროვდა და მსოფლიოს საუკეთესო სნაიპერთა ხუთეულში შეაბიჯა!

21 ნოემბერს აშშ-ს ვუმასპინძლებთ.

უფროსთა ასეთი წარმატებების ფონზე ანომალიურად გამოიყურება ჭაბუკ ბორჯღალოსანთა ზედიზედ მე-2 მარცხი ესპანელ თანატოლებთან რაგბი ევროპის ასაკობრივი ფორუმის ფინალში –17:20.

შარშანდელი უტიტულობა ბევრმა შემთხვევითობად ჩათვალა, მაგრამ კიდევ ერთი, თანაც მიჯრით გაწბილებული იმედები დამაფიქრებელია და, ეტყობა, საფუძვლიან განსჯას მოითხოვს.

თუ კრიზისია, კრიზისი იყოს!..

აღმართი და დაღმართი ძმეგი არიანო, მაგრამ დაღმასვლასაც გააჩნია.

განკურნების მიზნით ხან მწვრთნელს ცვლიან, ხან ტაქტიკას და ხანაც – შემადგენლობას, მაგრამ როცა საშველი არ ჩანს, ესე იგი საქმე ძალიან სერიოზულადაა.

საქართველო – უნგრეთი 0:2
გოლები: დვალი (საკუთარ კარში), ვარგა

ალბათ, მოგებზრდათ საკადრო (ტრავმირებული **კვარაცხელია, კიტეიშვილი** და ამჯერად დისკვალიფიკაციის გამო **ქოჩორაშვილი**) პრობლემებზე საუბარი, მაგრამ სხვა კომპონენტებშიც ხომ კაპიკია ჩვენი ფასი? ჩვენ ყოველთვის დაცვის სისუსტეს მივტიროდით, მაგრამ შეტევის მიმართ სასაყვედურო იშვიათად გვქონდა. ჰოდა, იმასაც მოვესწარით, ხუთ თამაშში მეტოქეთა კარში წამლად ჯერ ერთი გოლიც კი არ გაგვიტანია. ვაი, სირცხვილო!

ზოგი იტყვის, თურქეთს ქულაც კი სანატრელი აქვსო, მაგრამ იგი ხომ საფრანგეთ – იტალია – ბელგიის მრისხანე ჯგუფშია.

ჩრდილოეთ ირლანდია – უკრაინა 1:0. **ხვალ სლოვაკურ კოშიცეში მკვდარი მკვდარს აეკიდება: უკრაინა – საქართველო.**

ასე რომ, სამართალმა პური ჭამა!



ფეხბურთის პოეტი

საქართველოს სახალხო არტისტი კოტე მახარაძე — 100

ფეხბურთი საქართველოში ყოველთვის გამორჩეულად პოპულარული იყო. ჩვენმა სტაჟიანმა გულშემატკივრებმა ზეპირად იცოდნენ, ვის ჰქონდა მოპოვებული ჩემპიონის ტიტული. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებები, გამორჩეული ისტორიული გამარჯვებები, მაგრამ ასეთი მრავლისმთქმელი სტატისტიკის მიუხედავად, ვერავინ გვეტყვის, რამდენჯერ გაგვახარა ლეგენდარულმა კოტე მახარაძემ თავისი დაუვიწყარი რეპორტაჟებით. გევრი ისტორიული წუთი შემოგვინახა მისმა ემოციურმა ტელე-რადიორეპორტაჟებმა, მარტო 1981 წლის დიუსელდორფის ფინალური მატჩის რეპორტაჟი რად ღირს, რომლის გარეშეც ის დაუვიწყარი გამარჯვება, ერთ რიგით მატჩს დაემსგავსებოდა.

ბატონ კოტე მახარაძეზე უსასრულოდ შეიძლება ისაუბრო მისი მრავალმხრივი ნიჭის გამო. თავისი არაჩვეულებრივი ხმის ტემბრით აღფრთოვანებაში მოჰყავდა მსმენელი, მის ნიჭიერებას და პირველკაცობას ვერანაირად ვერ აუვლი გვერდს, მან კომენტატორის ხელოვნება უმაღლეს დონეზე აიყვანა, მისი მიბაძვა უბრალოდ შეუძლებელი გახლდათ.

ერთხელ, სატელევიზიო გამოსვლაში ბატონმა კოტემ კომენტატორის ოსტატობის ნიუანსებზე საუბრისას აღნიშნა: **„რეპორტაჟი ხომ დაუსრულებელი იმპროვიზაციაა და მეტი არაფერი. განა ტემპერამენტის გრძნობა, პაუზის ფასი და ღირებულება შეიძლება სადმე ისე შეიგრძნო, როგორც ცეცხლოვანი რეპორტაჟის დროს გატანილი ბურთის სიხარულით? აუცილებელი არ არის, მიკროფონში ყვირილით გამოხატო ეს ემოცია, ის შეიძლება ჩურჩულითაც გადმოსცეს კაცმა“.**

ისე, როგორც ყველა ლეგენდა, ბატონი კოტეც ბავშვობიდან სპორტს დაუმეგობრდა და პირველი ნაბიჯები კალათბურთის სიყვარულით დაიწყო. მწვრთნელი მრავალი თაობის აღმზრდელი, საშა ელინსკი გახლდათ. 1944 წელს მას საქართველოს ჭაბუკთა კაპიტნობაც ანდეს. მალევე თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა და აღირებული ვარსკვლავების – ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, სულიკო თორთლაძის გვერდით უთამაშია, მართალია, ადგილის დამკვიდრება არც უცდია, მაგრამ სპორტისათვის ზურგი არასოდეს შეუქცევია.

კომენტატორობა 1957 წლიდან დაიწყო, მალევე საქართველოს ტელევიზიით თბილისის „დინამოს“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩის გაძღოლა ანდეს. მერე იყო უამრავი რეპორტაჟი; საკუთარი ხელწერით გამორჩეულს, თავის განუყრელ მეგობართან **ეროსი მანჯგალაძესთან** ერთად განუმეორებელი დუეტი აქვს შესრულებული. რამდენი გულშემატკივარი მოუხიბლავს მის წაყვანილ რეპორტაჟებს; ამის დასტურად ბატონ კოტეს 2001 წელს, 75 წლის იუბილე მოსკოვში გადაუხადეს. იუბილე სამი ქვეყნის – საქართველოს, რუსეთის და უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტებმა მიულოცეს.

ამ 15 წლის წინათ, ევროპის ფეხბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მსოფლიოს ცნობილი კომენტატორების მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული ფრაზები, მათ შორის კოტე მახარაძის სიტყვებიც აღმოჩნდა: „ზეიმობს საქართველოს დედაქალაქი, ზეიმობს ჩვენი ქვეყანა – თბილისელებმა თასი მოიპოვეს“. ამ ემოციური სიტყვების გამო მოსკოვში ჩამოსულს, უშიშროების სამსახურმა მიუთითა. მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, იგი გამორჩეულად ენამახვილი პიროვნება გახლდათ. მერე იყო საოცარი სიხარულის, ბედნიერების ღამე, რომელიც სრულიად საქართველოს სხივნათელ თარიღად შემორჩა.

საყურადღებოა ბატონი კოტეს მიერ წარმოთქმული სიტყვა ქართული გენის შესახებ: „ქართული გენი და ბუნებაც მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავებით კვლავ გამოვა ასპარეზზე“. ეს სიტყვები სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ კოტე მახარაძეს ეკუთვნის, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ფეხბურთი და სჯეროდა ქართული ფეხბურთის.

კოტე მახარაძემ დროს გაუსწრო და თამობები დააწინაურა. მისი სახელის უკვდავსაყოფად მისმა უმცროსმა მეგობარმა, აწ გარდაცვლილმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** სპორტული რადიოარხი **„ჯაკო“** დააფუძნა. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ოცნებობდა კოტე მახარაძე სპორტულ რადიოარხზე. **„მიხარია, ჩემი უფროსი მეგობრის ოცნებას ფრთა რომ შევასხი, მეამაყება და გედნიერი კაცი ვარ!“** – ეს სიტყვები ბატონ **ჯამლეტს** ეკუთვნის.

ბატონი კოტე პოპულარული იყო არამარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოეთში. მას ხშირად ეპატიჟებოდნენ გამორჩეული რეპორტაჟების წასაყვანად. მის პირველკაცობას პროფესიაში გვერდს ვერანაირად ვერ აუვლიდი, რადგან ის გამოირჩეოდა ყოველთვის ობიექტურობით, კომპეტენტურობით და კეთილგანწყობით. არ შეიძლება ყურადღების მიღმა დატოვო ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა წარმოთქმული შეფასებები კოტე მახარაძის მიმართ:

„პირველობა ყველა საქმეში საპატიოა, კოტე მახარაძე ფეხბურთის პოეტი იყო“.

„მეკვლეს სპორტში საპატიო როლი აკისრია, კოტე მახარაძის სახელი ისტორიის კუთვნილებაა, ვინაიდან მის მაგალითს მიბაძავენ, როგორც თანამედროვენი, ისე მომავალი თაობები.“ კოტე მახარაძე 76 წლის ასაკში 2002 წლის 24 დეკემბერს გარდაიცვალა, ეს სამწუხარო ამბავი უცებ გავრცელდა, ცრემლნარევი დღეების აღსანიშნავად უამრავი ქვეყნიდან უთვალავი სამძიმრის დეპეშა მოვიდა; მისი ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება ყველასათან, ვისაც მისი რეპორტაჟების მოსმენის ბედნიერება ჰქონდა.

მის გარდაცვალებას გამოეხმაურა ცნობილი რუსული გამოცემა სათაურით **„ერთი მსახიობის ფეხბურთი“**. გაზეთის რედაქციამ კომენტარები სთხოვა იმ ადამიანებს, რომლებსაც უყვარდათ ბატონი კოტე; რუსეთის დედაქალაქიდან სამძიმრის წერილი გამოაგზავნეს რუსეთის სპორტის მაშინდელმა მინისტრმა, ცნობილმა ჰოკეისტმა, **ვიაჩესლავ ფეტისოვმა,** ქართველთა დიდმა მეგობრებმა, ცნობილმა მწვრთნელებმა **ვალერი გაზაევმა** და ოლეგ რომანცევმა: **„ვგლოვობთ ლეგენდის გარდაცვალებას, ამ ცნობამ სულის სიღრმემდე შეგვაშფოთა,ეს უდიდესი დანაკარგია ფეხბურთის და ჟურნალისტებისათვის!“** – მისი სახელი კარგად იყო ცნობილი სამშობლოს და საზღვრებს გარეთ.

კოტე მახარაძე ის უკვდავი შემოქმედია, რომელმაც სული ღმერთს მიუძღვნა, გული – საქართველოს, ხოლო პროფესიის სიყვარული – სამყაროს. ისტორია ხომ არამარტო ხსოვნაა წარსულის, იგი თან ქმედითი მონაწილეა მომავლის.

2026 წლის 17 ნოემბერს ლეგენდარული **კოტე მახარაძის დაბადებიდან 100 წელი** სრულდება. უქრობი სანთელი ანათებდეს მის სამუდამო სასუფეველს.

ბექჟან ჩხეიძე

შოთა ლომიძის სახელობისა...

მადლობა სპორტის მინისტრსა და ჭიდაობის ფედერაციას

წელს მეოთხედ გაიმართა სახელოვანი ქართველი მოჭიდავის მსოფლიოს და ევროპის ორგზის, საქართველოს რვაგზის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ექვსგზის და ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონის შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი, რომლის ორგანიზატორი ლომიძეების საგვარეულო დარბაზი გახლდათ.

წლევანდელი ღონისძიების ჩატარება მეტად სასიამოვნო გასახსენებელია ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაულზე. საპატიო სტუმართა შორის იყო ბორჯომის საპატიო მოქალაქეები, საქართველოს სპორტის მინისტრი, ბატონი **შალვა გოგოლაძე,** რომელსაც მორიდებით ვთხოვე, **შოთა ლომიძის** ტურნირის ჩატარების ღონისძიებისთვის დამხმარებოდა. მინისტრი სანამ პასუხს გამცემდა, ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და დარეკა, – მხოლოდ მისი სიტყვები მესმოდა, ხვალვე მიდით ჭიდაობის ფედერაციაში და ტურნირის ჩატარების ორგანიზაციული საკითხები მოაგვარეთ. მინისტრი შოთა ლომიძის შვილს და მის ძმისშვილს ესაუბრებოდა. სიამაყით და სიხარულით გახარებული დავრჩი. მეორე დღესვე, შოთა ლომიძის შვილი – გიორგი და ძმისშვილი ლაშა დამიკავშირდნენ და მითხრეს: საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი.


რამდენიმე დღის შემდეგ საშუალოდან თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი გია კვინიკაძე დამიკავშირდა და მახარა, შოთას ტურნირი 4-5-6 ნოემბერს გაიმართებაო.

პირველი დღე მონაწილეთა აწონვას დაეთმო. 5-6 ნოემბერს შეჯიბრი გაიმართა.

შეჯიბრების მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ თავმჯდომარე **გაგა (თამაზ) გეგეშიძემ,** და შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა **რუსლან დარსანიამ.**

საქართველოს 20 მუნიციპალიტეტის და სომხეთის გუნდის ნორჩი მოჭიდავე ეჯიბრებოდა ერთმანეთს.








შეჯიბრი 10 წონით კატეგორიაში გაიმართა და 200 ნორჩი მოჭიდავე (2010-2011 წლებში დაბადებულები) ღებულობდნენ მონაწილეობას.

შეჯიბრი მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა, რასაც ხელი შეუწყო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯების **– მიხეილ გრძელიძის, მალხაზ ჯორბენაძის, გელა გელაშვილის, ელდარ ლომანაძის, ზურაგ მელისეთიანის ჩ**ინებულმა მსაჯობამ.

ბეჭებდაუდებელი ფალავნის შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი ორდღიანი შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დასრულდა. პირველი ადგილებისთვის ბრძოლაში გაიმარჯვეს გორელმა **თორნიკე დვალიშვილმა,** ამბროლაურელმა **საბა გიბილაშვილმა**, საგარეჯოელმა **ზურაგ დოთაშვილმა, გიორგი გრიგალაშვილმა,** რუსთაველმა **იოანე გავაშელიშვილმა,** საგარაჯოელმა **ზუკა წინამძღვრიშვილმა.** სომეხმა მოჭიდავეებმა სამი პირველი ადგილი მოიპოვეს. აბსოლუტურ წონაში რუსთაველი **ზაალ გავაშელი** გახდა ჩემპიონი, რომელსაც სხვა ჯილდოებთან ერთად ლომიძეების საგვარეულო დარბაზის სახელით საპატიო თასი გადაეცა, ასევე საპატიო დიპლომები გადაეცათ შეჯიბრში გამარჯვებულებს.

ვალერიან ლომიძე,
ლომიძეების გვარის მეთაური, საქართველოს ღამსახურებული ჟურნალისტი.

უცხოური პრესა



„ევროპა უფრო მდიდრულად ცხოვრობს, ვიდრე ამისთვის შემოსავლები აქვს. მოვიდა ანგარიშების გასწორების დრო – მთავრობას და მოსახლეობას ვალების გადახდა უწევს“, – ასეთი სათაური აქვს ბრიტანულ ჟურნალ **„ეკონომისტში“ (The Economist)** გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც გაანალიზებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ამჟამინდელი არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მასალაში საუბარია რიგ პრობლემურ საკითხებზე: **რატომ გამოდის მოსახლეობა მთავრობების ფინანსური პოლიტიკის წინააღმდეგ? რა უშლის ხელს დაბალანსებული ბიუჯეტების მიღებას რიგ ევროპულ სახელმწიფოებში? რატომ ხდება, რომ მოქალაქეთა უმრავლესობას სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგება სურს, მაგრამ იმავდროულად წინააღმდეგნი არიან, რომ ეს მათ ხარჯზე მოხდეს?**

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით: Economist.com

ბებერი ევროპის ახალი გასაჭირი

ანგელა მერკელი: ევროპის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 7%-ს შეადგენს და ამ დროს მათ ყველაზე მაღალი და ფართო სოციალური გარანტიები აქვთ მსოფლიოში. შესაბამისად, ევროპას ძალიან დიდი შრომა მოუწევს თავისი კეთილდღეობისა და ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად.

ევროპის ქალაქების ქვაფენილებიან, მოკირწყლულ მოედნებს ჯერ კიდევ აქვთ კვალი შემორჩენილი იმ მღელვარებისა, რომელიც ამ შემოდგომაზე გადაიტანეს. მათ კარგად ახსოვთ პოლიციის მანქანების სირენების ხმა და მაღაზია-კაფეების ჩალეწილ ვიტრინათა ნამსხვრევების ზრიალი.

კონტინენტი განიცდის ერთ-ერთ ისეთ პერიოდულ შეტევას, როცა საპარლამენტო პოლიტიკა სოციალურ უკმაყოფილობას ძლივ-ძლივობით უმკლავდება. საფრანგეთსა და გერმანიაში პროტესტები განათლების სფეროში არასაკმარისი ინვესტიციების გამო დაიწყო. ესპანეთში და იტალიაში – საბინაო კრიზისით. მთელ კონტინენტზე შეინიშნება უკმაყოფილება ფასების ზრდით. საერთო ძირითადი პრობლემა გამოიხატება შემდეგში: ბევრ ევროპელს სურს სახელმწიფო ხარჯების გადიდება ისეთ დონემდე, რომლის დაკმაყოფილება ხელისუფლებას უკვე აღარ შეუძლია. პარლამენტებს, სადაც დეპუტატები ერთმანეთს უპირისპირდებიან და პოპულისტ პოლიტიკოსებს პრობლემების მოგვარება პრაქტიკულად არ შეუძლიათ.

ათწლეულების განმავლობაში ევროპა თავის მოქალაქეებს უჩვეულოდ კომფორტულ დონეს სთავაზობს სოციალური შეღავათებისა და ჯანდაცვის მხრივ. ევროკავშირის ქვეყნები სახელმწიფო პენსიებზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 10%-ს ხარჯავენ (ანუ, საშუალოდ, თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე ამერიკაში). ევროკავშირში სახელმწიფო სოციალურ ხარჯებზე მშპ-ის თითქმის 30% იხარჯება (აშშ-ში ეს მაჩვენებელი 20%-ზე ნაკლებია).

გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა ერთხელ უკმაყოფილოდ აღნიშნა, რომ „ევროპის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 7%-ს შეადგენს და ამ დროს მათ ყველაზე მაღალი და ფართო სოციალური გარანტიები აქვთ მსოფლიოში. შესაბამისად, ევროპას ძალიან დიდი შრომა მოუწევს თავისი კეთილდღეობისა და ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად“.

ზოგიერთმა სახელმწიფომ, განსაკუთრებით გერმანიამ და სკანდინავიურმა ქვეყნებმა, რთული სამუშაო გაწიეს და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დაცვა უფრო ხელმისაწვდომი გახადეს, თუმცა მდიდარი გერმანიაც კი ახლა სოციალური ხარჯების კრიზისს განიცდის. ვეროკავშირის რიგი ქვეყნები, მოსახლეობის სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად, წლების განმავლობაში „იოლ“ გზას მიმართავდნენ და სესხებს იღებდნენ: ხუთ ქვეყანას, მათ შორის საფრანგეთს, იტალიასა და ესპანეთს, სახელმწიფო ვალის დონე მშპ-ის 100% ან უფრო მეტი აქვს. ათი ქვეყანა, მათ შორის ბელგია, საფრანგეთი და იტალია ახლა ევროკავშირის „გადაჭარბებული დეფიციტის აღმოფხვრის პროცედურას“ ექვემდებარებიან. ასეთი სტატუსი ქვეყნისათვის არცთუ სასიამოვნოა და რეპუტაციული ზიანის მომტანია: პროცედურა ხომ იმიტომ არის შექმნილი, რომ ვალი მშპ-ის 60%-ს არ აღემატებოდეს და ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 3%-მდე შეინარჩუნოს. „პროცედურის“ დროს ქვეყნის ბიუჯეტები მოწმდება და მთავრობებს წინადადება ეძლევათ სიტუაცია გამოასწორონ.

ასეთი ქვეყნების მთავრობები სახელმწიფო ვალის მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო რთულ სიტუაციაში ექცევიან. მაგალითად, საფრანგეთმა 2027 წელს სესხებზე 91 მილიარდი ევროს (102 მილიარდი დოლარის) საპროცენტო განაკვეთი უნდა გადაიხადოს, რაც გვრად მეტია 2026 წლის 79 მილიარდ ევროსთან შედარებით. მთავრობას თეორიულად შეუძლია მოაკლოს თანხები სოციალურ სფეროს და ვალები დაფაროს, მაგრამ მზარდი ფასები და ენერგიის მაღალი ხარჯები პოლიტიკურად ართულებს მოსახლეობისათვის პენსიებისა და სოციალური დახმარების გადასახადების შემცირებას.

პოპულისტების ხმამაღალი განცხადებები ახშობს მათ, ვინც ბიუჯეტის არითმეტიკაზე გონივრულად საუბარს ცდილობს. ევროპულმა სადაზღვევო კომპანია Allianz-მა შეიმუშავა გლობალური „სოციალური მდგრადობის ინდექსი“, რათა გაზომოს სხვადასხვა ქვეყნის მოწყვლადობა უწესრიგობების მიმართ. მისი გამოთვლით, 2020-დან 2025 წლამდე გაფიცვების, არეულობებისა და სამოქალაქო არეულობების 70% მოხდა „განვითარებულ ეკონომიკებში... სადაც კეთილდღეობასთან ერთად არსებობს პოლიტიკური პოლარიზაცია და რეფორმების გატარების სუსტი პოტენციალი“. ლუდოვიკ სუბრანი, სადაზღვევო კომპანიის მთავარი საინვესტიციო ოფიცერი, აღნიშნავს, რომ ეს ნაზავი განსაკუთრებით ფეთქებადია, რადგან ცხოვრების ხარჯების ზრდა უამრავ ადამიანს აზარალებს.

ავიღოთ გერმანია, რომელსაც 2026 წელს ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 5%, ხოლო ვალი მშპ-ის 112%-ის ტოლი ექნება. 6 ნოემბერს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გარტ დე ვეერმა გადადგომა განიზრახა მას შემდეგ, რაც მისი მთავრობა 2027 წლის ბიუჯეტზე ვერ შეთანხმდა – პოპულისტ-ნაციონალისტმა ლიდერმა ვერ შეძლო ხუთპარტიული კოალიცია დაეწრმუნებინა, რომ ვალის დასაფარავად აუცილებელია რაღაც ზომების გატარება, მაგალითად, დანაზოგებზე დღგ-ის (დამატებითი ღირებულების გადასახადის) მცირე გაზრდა. თითქმის იგივე სიტუაციაა ნიდერლანდებში, რომლის ახალგაზრდა ცენტრისტი პრემიერ-მინისტრი რობ იეტენი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნის პირველ უმცირესობის მთავრობას ხელმძღვანელობს და ცდილობს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მხარდაჭერაში უმრავლესობა მიიმხროს.

გერმანიაშიც კი, რომელიც ტრადიციულად ფინანსური თვალსაზრისით მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩევა, კანცლერმა ფრიდრიხ მერცმა განაცხადა, რომ სოციალური სახელმწიფო „ხელმისაწვდომი აღარ არის“. გასულ წელს გერმანიაში სოციალური ხარჯები 6%-ით გაიზარდა და ამჟამად მშპ-ის დაახლოებით 32%-ს შეადგენს, რაც ორი პროცენტული პუნქტით მეტია კოვიდამდელ დონეზე. პენსიების, ჯანდაცვისა და მსგავსი ხარჯებისთვის დაწესებული სოციალური უზრუნველყოფის გადასახადები მთლიანი ხელფასის დაახლოებით 42%-ს უტოლდება.

პროგნოზით, თუ რეფორმა არ გატარდება, ეს მაჩვენებელი 2040 წლისთვის თითქმის 50%-ს მიაღწევს (დამსაქმებლები ამ ხარჯების ნახევარს ფარავენ). ნელი ეკონომიკა და გერმანიის კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფიციტის შემზღუდავი „ვალის მუხრუჭი“ ნიშნავს, რომ ფედერალური მთავრობა მძიმე ფისკალურ მდგომარეობაშია: 2030 წლისთვის საჭიროა 100 მილიარდ ევროზე მეტი (კუმულაციური) კონსოლიდაცია ბიუჯეტში, რაც წლიური მშპ-ის თითქმის 1%-ს შეადგენს. გერმანელების დაახლოებით ორი მესამედი თანხმდება, რომ სახელმწიფოს ამჟამინდელი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ბიუჯეტისათვის მძიმე ტვირთია, თუმცა იმავდროულად მოსახლეობის უმეტესობა ეწინააღმდეგება სოციალური ხარჯების შემცირების შესახებ ყველაზე კონკრეტულ წინადადებებს.

ყველაზე შემაშფოთებელს, რა თქმა უნდა, საფრანგეთში შექმნილი ვითარება წარმოადგენს. მთავრობა წლიდან-წლამდე მძიმე ბრძოლა უცდება ბიუჯეტის მისაღებად – მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა 2024 წელს ნაჩქარევად დანიშნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რამაც საკანონმდებლო ორგანოში მისი ცენტრისტული მმართველი უმცირესობა შეამცირა. პარლამენტის ქვედა პალატა, რომელშიც ოდესღაც მემარცხენეებისა და მემარჯვენეების პარტიები დომინირებდნენ, ახლა სამ მტრულად განწყობილ ბლოკად არის გაყოფილი. ყველაზე ხმაურიანები არიან ჟანლუკ მელანშონის პოპულისტური მემარცხენეები და მარინ ლე პენის ასევე პოპულისტური მემარჯვენეები. სხვათა შორის, როგორც გამოკითხვები აჩვენებს, ორივე ფავორიტები არიან პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში და როგორც ჩანს, ისინი 2027 წლის გაზაფხულზე საარჩევნო რბოლის მეორე ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. როგორც მიშელ ბარნიე – მემარჯვენე-ცენტრისტული ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ამჟამად პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატი – ამბობს, საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოში შექმნილ ატმოსფეროს „აჯანყებამდელი“ ხასიათი აქვს.

ამ ფონზე სებასტიან ლეკორნიუ, გოლო სამი წლის განმავლობაში ქვეყნის მეოთხე პრემიერ-მინისტრი, ცდილობს რომ პარლამენტმა ბიუჯეტი წლის ბოლომდე მიიღოს. მისი გეგმა, რომელიც ბიუჯეტის დეფიციტს 2026 წლის მშპ-ის 5.4%-დან 2027 წელს 5%-მდე შეამცირებს, 43 მილიარდი ევროს დაზოგვას გულისხმობს. ყველაზე საკამათოა ის, რომ დაზოგვა-ეკონომია ითვალისწინებს პენსიების (ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი პუნქტის) და საჯარო სამსახურის ნომინალური ხელფასების გაყინვას. ოპოზიცია აღშფოთდა და მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა, პროტესტი გამოხატეს პედაგოგებმა და საჯარო სექტორის სხვა თანამშრომლებმა, რომლებიც ანტისამთავრობო მსვლელობებს შეუერთდნენ.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ამომრჩევლები სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგებას ითხოვენ, მაგრამ იმავდროულად წინააღმდეგნი არიან, რომ ეს მათ ხარჯზე მოხდეს. გამოკითხვის თანახმად, ფრანგების 85% მიიჩნევს, რომ სასწრაფოდ აუცილებელია სახელმწიფო ვალის შემცირება, მაგრამ 56% ასევე ფიქრობს, რომ საპენსიო ასაკი დაბალი უნდა იყოს. მუსიე მელანშონი და მადამ ლე პენი პირობას დებენ, რომ არა მხოლოდ დაიცავენ პენსიებს, არამედ შეამცირებენ საპენსიო ასაკსაც. ორივე პარტია ეწინააღმდეგება პენსიების შემოთავაზებულ გაყინვას. ფინანსთა მინისტრი როლან ლესკური ამტკიცებს, რომ მთავრობა აუცილებლად მიიღებს ბიუჯეტს, მაშინაც კი, თუ მას სპეციალური კონსტიტუციური ზომების გამოყენება მოუწევს პარლამენტში მის დასამტკიცებლად. „როდესაც ვამბობ, რომ უნდა გავყინოთ პენსიები, ეს არ არის პენსიონერების გასაღიზიანებლად ნათქვამი“, – აცხადებს როლან ლესკური, - „უფრო სწორად, ჩემი ნათქვამი ამას ნიშნავს: თუ გვინდა ახალგაზრდებზე მეტი დავხარჯოთ, ამ დანახარჯების გადახდა სხვებს მოუწევთ, მათ შორის პენსიონერებსაც“.

ღირსეული სოციალური სახელმწიფო, რომლის მოქალაქეები ღირსეულად გრძნობენ თავს სიბერეში ჯანმრთელობის პრობლემების გადაწყვეტისას და რომლებსაც გაღარიბების შემთხვევაში სახელმწიფო დახმარების ხელს უწვდის, ევროპული იდეისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სუფთა კომფორტული ქალაქები ფეხით გასასეირნებლად და ხანგრძლივი დასვენება. „ბებერი ევროპა“, რომელიც კიდევ უფრო გერდება, ვერ აარიდებს თავს რთული არჩევანის გაკეთებას იმ საკითხში, თუ რა სახით გააგრძელებს მხარდაჭერას მოხუცებისათვის.

ამასთან, სამწუხაროა, რომ ევროპა კარგავს ზომიერი გაწონასწორებული დეგატების უნარ-შესაძლებლობას პრობლემის მოსაგვარებლად. თუ მთავრობები რთული გადაწყვეტილებების მისაღებად უმრავლესობის ფორმირებას ვერ შეძლებენ, კრიზისის დროს ამ არჩევანის გაკეთებას მათ ოგლიგაციებზის გაზრდები აიძულებს (ბგულისხმება ფინანსური გაზრდების ზეწოლა, როდესაც სახელმწიფო ვალის მომსახურება ძვირდება და მთავრობას იძულებითი რეფორმების გატარება უწევს).



თარგმნა
სიმონ კილაძემ.



ნიკოლოზ ქართველთა მნათობი (+1308 წ.)

16 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქართველ ჰიმნოგრაფს (ის მოღვაწეობდა დიმიტრი თავდადებულის ძის – ვახტანგის დროს) ნიკოლოზ მნათობს.

...საგალობელ კანონთა გამომთქმელ ნიკოლოზ მნათობის ჩვენამდე მოღწეულ აკოლუთიას – „გალობანი წვიმისაგან შემშვთარ-თვის“ ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს ანტონ კათალიკოსი.

ნიშანდობლივია, რომ როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი სახით წიგნთსაცავში დაცული ეს საგალობელნი ბერძნულიდან ქართულადაა თარგმნილი.

პლატონ იოსელიანის ცნობით ქართველ მნათობს, ნიკოლოზს შეუთხზავს „სრული საგალობელნი“, რომელიც მას ივერიის მონასტერში უნახავს.

ქართველ ნიკოლოზს მიეწერება კურთხევანის ზოგიერთი თავის თარგმნა – „განგება წყლის კურთხევისა“, „უზომოდ წვიმისა გარდამოსვლის დასაყენებ აკოლუთია“ და სხვ.

გიული ლიპარტია

სულთათანა

გიული ტატიშვილი



კიდევ ერთი ღირსეული, ლამაზი და ჭკვიანი ქალბატონი განერიდა ამ დაუნდობელ წუთისოფელს, გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და პედაგოგი, სიკეთისა და სულიერი ზნეობის მაგალითი, დღემუდამ საქართველოს გადარჩენასა და აღორძინებაზე მლოცველი მრავალშვილიანი დედა გიული ტატიშვილი.

დაიბადა ჭიათურაში, იქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, 1972 წელს გახდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში ტელეფილმების სტუდიის რედაქტორად. მისი სცენარით შექმნილია რამდენიმე დოკუმენტური ფილმი. არის მრავალი გადაცემის ავტორი. რედაქტორობდა რამდენიმე ფილმს.

წერდა და მეტყველებდა თვალადური ქართულით. იყო ღრმად განსწავლული ჟურნალისტი და იუმორით სავსე პიროვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიული ტატიშვილის მოღვაწეობა ლეგენდარული ანტიფაშისტის ჰერმან გმაინერის (ავსტრია) სახელობის საერთაშორისო ფონდის „SOS – ბავშვთა სოფლის“ საქართველოში დაფუძნებისა და განვითარებისთვის. ბოლო 25 წელიწადი გიული ტატიშვილი მუშაობდა ამ სოფლის დედად და საოცარი ერთგულებით ზრდიდა სოციალურად დაუცველ ბავშვებს! სოფლის დედობა იყო მისი ოფიციალური თანამდებობაც და სულიერი მოწოდებაც.

უშვილძირო ქალი ასე გახდა 14 შვილის დედა, ნამდვილი დედა – 18 წლამდე აღმზრდელი და გზაზე დამყენებელი...

დღეს სწორედ ეს შვილები, რა თქმა უნდა, გიულის და-ძმასთან, მაია და ლადო ტატიშვილებთან ერთად, თავს დასტრიალებენ მის ცხედარს და ისევე დასტირიან, როგორც ნამდვილ მშობელს, მადლიან გამზრდელს!

გმადლობთ, გიული ტატიშვილო, ასეთი სიყვარულისა და უმწიკვლო დედობისთვის.

გმადლობთ, ტატიშვილების სახელოვანი გვარის კარგი შვილობისთვის!

გმადლობთ, სულიერი სიმტკიცისთვის.

გმადლობთ, არსებობისთვის!

მეგობრები

გიული ტატიშვილის პანაშვიდი გაიმართება 17-18 ნოემბერს, 16 საათიდან, განსვენებულის ბინაზე, ავთო ვარაზის 9 (ყოფილი ნუცუბიძის IV მ-რ, მე-18 კ. II სად. მე-6 სთ.)

დაკრძალვა ხუთშაბათს, ჭიათურის სოფელ ცხრუკვეთში.

ხონში ნანა მჭედლიძის იუბილე აღინიშნა

ხონში ნანა მჭედლიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილე აღინიშნეს. ცნობილი ქართველი რეჟისორის, სცენარისტისა და მსახიობის ცხოვრებასა და შემოქმედებას უმშვენიერესი ღონისძიება მიეძღვნა. გაიხსენეს მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრები.

ნანა მჭედლიძე 1926 წლის 20 მარტს ხონში დაიბადა. ის ქართული კინოს ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი იყო, რომლის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ კინემატოგრაფიაში. ნანა მჭედლიძე 2016 წელს გარდაიცვალა და ანდერძის თანახმად ხონში დაკრძალეს.



„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან!..“

ჟურნალი იხსნება ახალგაზრდული ლიტერატურული კონკურსის „მე ვარ ავი მუსაიფი“ გამარჯვებულთა ნაწარმოებებით.

პოეზიის ნომინაციაში გაიმარჯვეს: **გიორგი ნაწიფაშვილმა, იოანე ბურდულმა, ადემ ალიევმა, გიორგი ოგბაიძემ**; პროზის ნომინაციის გამარჯვებულები გახდნენ: **ნინი ხეჩიაშვილი, თამარ სვანიძე, ბესლან დუიშვილი, ანითა უქანოვა.**

ასევე იბეჭდება ახალგაზრდული ლიტერატურული კონკურსის „ჩვენ მოვდივართ!“ გამარჯვებულთა ნაწარმოებები: **გიორგი ზუბიტაშვილი, ლაშა ხუტიაშვილი, ერეკლე ბეჟუაშვილი, თამარ ბურნაძე, მარიამ კალმახელიძე, თამთა ბექაურ-ჭიკაძე, მზია აზნიაშვილი, გიორგი ოგბაიძე, ელიზბარ ნერსესოვი, ქეთევან ჭანკოტაძე, ნანა სულხანიშვილი, თამარ გოშაძე, ეკა კანაშვილი.**

ალმანახის ახალი ნომერი – „ოლე“ N3

რევაზ ინანიშვილის 100 წლის იუბილეს ეძღვნება **ზაალ მოტკოველის** წერილი „ლამაზი ცრემლების მომგვრელი“.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკაში გაეცნობით **ნინო უძილაურის, პოეტ პოეტიშვილის, თემურ თუშიშვილის, აკაკი ბიძინაშვილის, კობა ხაპრიძის** ლექსებს; **გიორგი შარვაშიძის, ნაზი ხაპრიძის, ანა მანოშვილის** პროზაულ ნაწარმოებებს.

რუბრიკით „საბავშვო საკითხავი“ გაეცნობით **ნინო მზესელის** მოთხრობებს.

„კრიტიკა-პუბლიცისტიკის“ განყოფილებაში წაიკითხავთ **ანანო ჩხარტიშვილის** „ურთიერთობა, რომელიც ქმნის მომავალს“ და **რომეო ფირცხელანის** „სიყვარული გზად და ხიდად!“

„ახალი წიგნების“ რუბრიკით წაიკითხავთ **ნუნუ ძამუკაშვილის** „გვირილების ამბორი“, რომელიც ეძღვნება თამარ კოლელიშვილის ლექსების ახალ წიგნს.

გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია მხატვარ **ბეჟან ბოტკოველის** ნახატი.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ვაჟა მაღრაძე**), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **არჩილ თხლაშიძე**) მხარდაჭერით.

თენგიზ ქავთარაძე, ნოდარ მთვარელიძე, ნოდარ გოლოთაშვილი, მერაბ გურული, ზაურ ფხალაძე სამძიმარს უცხადებენ ამირან გიორგაძეს ძმის

ბადრი ბაგრატის ძე გიორგაძის

გარდაცვალების გამო.

ძლიერი ნარკოტიკის – „ბუპრენორფინის“ შემცველი 500 აბზე მეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის მცდელობის ბრალდებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავეს.



შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა ბრალდებულის მხილების მიზნით, მის სახელზე გამოგზავნილი ამანათის კონტროლირებადი მიწოდება განახორციელეს და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 500 აბზე მეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თელავში შვილმა დედის მოკვლა სცადა

საქართველოს პროკურატურამ ქალაქ თელავში დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 12 ნოემბერს, ქალაქ თელავში, ოჯახის წევრის მიმართ ძალადობისთვის ნასამართლევმა ბრალდებულმა მოკვლის მიზნით დანით ყელის არეში ორი ჭრილობა მიაყენა დედას, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზარალებულის სიცოცხლის შენარჩუნება, დროული სამედიცინო დახმარების შედეგად მოხერხდა. დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 19-109-ე მუხლის „კ“ და „პ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, არაერთგზის) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.


პოეტი და მთარგმნელი ლელა სამნიაშვილი 49 წლის ასაკში გარდაიცვალა



პოეტს გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „ფოტო-ამბები“, „გველის წელიწადი“, „მუდმივი ტატუ“, „ფრაქტალები“, „ლოცვა აბსტრაქციად“, „37“, „ავირეკლოთ“... თარგმანები: „სილვია პლათის ლექსები ქართულად“, ვირჯინია ვულფის „საკუთარი ოთახი“, სილვია პლათის „ზარხუფი“, უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“ და სხვა... არის „საგურამოს“, „ლიტერას“ და „საბას“ ლაურეატი. მისი ლექსები თარგმნილია და გამოცემულია სხვადასხვა ენაზე.

ლელა სამნიაშვილის ბოლო წიგნი – „ვარსკვლავს, ყვავილს, ადამიანს“ 2026 წლის შემოდგომაზე გამოვიდა.

ქართული კულტურის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება!



საქართველოს კულტურული ასპარეზი კიდევ ერთხელ გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და ამჯერად ნიდერლანდების სამეფოში წარმოაჩინა ჩვენი მარადიული რუსთველის მარადიულმა პოემამ!

გატონი არჩილ ჯავახაძე – ქართული კულტურის ელჩი ნიდერლანდებში! მან სულ ახლახან ნიდერლანდურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი უკვდავი პოეტური შედევრის საერთაშორისო პოპულარიზაციის გზაზე!

მთარგმნელმა ქართული პოეტური შედევრი ნიდერლანდების სამეფოს მეფესა და დედოფალს გადასცა. ასე დაიმკვიდრა ადგილი რუსთველის უკვდავმა ქმნილებამ ნიდერლანდების სამეფო ბიბლიოთეკაში, სადაც იგი მეფე-დედოფლის ბიბლიოთეკის ღირსეული მშვენებაა.

ქვეყანაში, სადაც ქართულ კულტურას ნაკლებად იცნობდნენ, „ვეფხისტყაოსნის“ ნიდერლანდურ ენაზე აუღერება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა. ამ მნიშვნელოვანი კულტურული ღვაწლისთვის გატონმა არჩილ ჯავახაძემ ნიდერლანდების სამეფო კარის მადლობის წერილიც მიიღო:

სამეფო კარის სამსახური გატონ ა. ჯავახაძეს

ღრმად პატივცემულო გატონო ჯავახაძე, ნება მიგოძეთ, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი 2026 წლის 13 ოქტომბრის წერილისთვის, რომელიც მიმართული იყო მისი უდიდებულესობა მეფისადმი, აგრეთვე ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გამოგზავნილი ეგზემპლარისთვის.

დიდი ინტერესით გავეცანით თქვენს, როგორც მთარგმნელის მოღვაწეობას და თქვენს ძალისხმევას, რომ ქართული ლიტერატურის ეს კლასიკური ნაწარმოები ხელმისაწვდომი გაგეხადათ ნიდერლანდურენოვანი მკითხველისთვის. მიხაი ზიჩის მშვენიერი ილუსტრაციებიც მშვენიერ დამატებას წარმოადგენს ამ განსაკუთრებული გამოცემისთვის.

განსაკუთრებით ვაფასებთ თქვენს ყურადღებიან ჟესტს, რომ მეფეს წიგნის ეგზემპლარი გამოუგზავნეთ. გისურვებთ დიდ წარმატებას თქვენს შემდგომ საქმიანობაში.

პატივისცემით,

ა.ტ. გილე,

მისი უდიდებულესობა მეფისა და მისი უდიდებულესობა დედოფლის გენერალური მდივანი.

სწორედ მსგავს შემოქმედებით უკვდავებაზე ბრძანა დიდმა რუსთველმა: სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!..

ქეთევან გოდერძიშვილი,

ენათმეცნიერი, ონომასტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე.

თბილისის ვოკალისტთა V საერთაშორისო კონკურსის OPERA CROWN ლაურეატები


ოპერისა და გალეტის თეატრში თბილისის ვოკალისტთა V საერთაშორისო კონკურსს OPERA CROWN ლაურეატების საზეიმო დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, – ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის ვოკალისტთა V საერთაშორისო კონკურსს – OPERA CROWN თბილისის ოპერისა და გალეტის თეატრმა უმასპინძლა. მსოფლიოს 24 ქვეყნიდან კონკურსის მონაწილე 55 ახალგაზრდა შეაფასა საერთაშორისო ჟიურიმ. ჟიურის თავმჯდომარე თბილისის ოპერისა და გალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე იყო.

I პრემიის მფლობელი **ლიუკ ნორველი** (აშშ) საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურის განვითარებისა და ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსმა **რუსუდან ჭუმბურიძემ** დააჯილდოვა. II ადგილი ერგო **იუჯინ ლის** (კორეა); III ადგილზე კი **მატეო ტორკაზო** (იტალია) გავიდა. საუკეთესო კონცერტმეისტერის სპეციალური ჯილდო გადაეცა **გიორგი გრძელიძეს** (საქართველო). თბილისის ოპერისა და გალეტის თეატრის სპეციალური პრიზის მფლობელები კი გახდნენ **კატარინა ფარზადიანი** (სომხეთი) და **მოსე ლი** (კორეა). გამარჯვებულებს პრიზი ოპერისა და გალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ბადრი მაისურაძემ** გადასცა.

თბილისის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსს OPERA CROWN საფუძველი 2018 წლის მაისში ჩაეყარა. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ოპერის მომღერლებს, რომლებიც პროფესიული კარიერის დასაწყისში იმყოფებიან. კონკურსის მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლების აღმოჩენა და მათი პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა.





შემოქმედის არქკომპლექსი განახლდება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში მდებარე ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის – შემოქმედის არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაციას გეგმავს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე სააგენტომ უზრუნველყო ძეგლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მრავალმხრივი, მათ შორის კომპლექსის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო კვლევები, შეფასდა არსებული დაზიანებები, განისაზღვრა რეაბილიტაცია-კონსერვაციისა და კედლის მხატვრობის კონსერვაციის მეთოდოლოგია.

ტაძრის რეაბილიტაციის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მისი დამაზიანებელი ყველა ფაქტორის აღმოფხვრა. განხორციელდება ქვისა და კედლის მხატვრობის კონსერვაცია, სრულად შეიცვლება გადახურვა და მოეწყობა წყალარინების სისტემა. პროექტირების დეტალები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს გააცნეს სააგენტოს გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, თეა ონიანმა, და შპს „Arch-R ჯგუფის“ დირექტორმა გურამ სუთიძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ღურჯუმელიძე, ოზურგეთის მერის მოვალეობის შემსრულებელი, გია ანთაძე, და საკრებულოს თავმჯდომარე, დავით დარჩია. შემოქმედის არქიტექტურული კომპლექსი მოიცავს მაცხოვრისა და ზარზმის სახელობის ტაძრებს, სამრეკლოსა და გალავანს. მისი მთავარი ნაგებობებია XII-XIV საუკუნეების მაცხოვრის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა და XVI საუკუნეში ვახტანგ გურიელის მიერ აგებული ზარზმის სახელობის გუმბათიანი ტაძარი.



ადრექრისტიანული ხანის კიდევ ერთი ახალი ეკლესიის ნაშთები დმანისში, ნაგზაურთან...

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადთან, ნაგზაურის ადრექრისტიანული სამონასტრო კომპლექსის (V-VIII სს.) არქეოლოგიური კვლევის ფარგლებში, ახალი ძეგლი გამოვლინდა. კომპლექსიდან დასავლეთით აქამდე უცნობი სამლოცველოს ნაშთები დადასტურდა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

უწყების განმარტებით, ახალი აღმოჩენა ქმნის დამატებით შესაძლებლობას ქვემო ქართლის ადრექრისტიანული ხანის საეკლესიო არქიტექტურისა და მონასტრული ცხოვრების ისტორიის შესასწავლად.

„ახლად გამოვლენილი ნაგებობა დიდი ზომის ქვებითაა ნაგები, 1.5 მეტრამდე სისქის კედლებით, რომელთა შემორჩენილი სიმაღლე 1.3 მეტრს შეადგენს. კვლევის ამ ეტაპზე არქეოლოგიურად შესწავლილია ეკლესიის მთავარი ნავი და აფსიდი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილი არქიტექტურული დეტალები – ამბიონისა და კანკელის ნიშის ფრაგმენტები. მთავარი ნავის შუაში გამოვლენილია სვეტის ქვის ბაზისი, რომელსაც, სავარაუდოდ, ხის გადახურვის კონსტრუქცია ეყრდნობოდა. იატაკის დონეზე ასევე აღმოჩნდა კრამიტის ფრაგმენტი, რაც ასევე ნაგებობის გადახურვის მთავარი მასალა უნდა ყოფილიყო.

ნაგზაურის კომპლექსი ქვემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია. იგი ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიათა რიგში ერთიანდება და პარალელებს პოულობს საქართველოს სხვა, ადრეულ სამონასტრო ძეგლებთან; ერთიანი გალავნით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესია და სამეურნეო-საცხოვრებელი ნაგებობა იყო განთავსებული. ნაგზაურის კომპლექსზე არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით 2025 წლიდან მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ტრიში“
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 711057

მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 ნოემბერს